სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი 19 ნოემბერი 1998 №211 (746) ფასი 50 თეთრი

# სიხარულამდე ისევ შორია

## რუმინეთი 27:23 საქართველო



გუშინ დუბლინში: საქართველო — რუმინეთი. ლევან ცაბაძე მეტოქეთაგან თავდახსნას ცდილობს

**მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩი**

დუბლინი, „ლენსდაუნ როუდი", 18 ნოემბერი

**რუმინეთი 27:23 საქართველო**

რუმინეთი: ვიორეანუ, ჰილდანი, ბრეზოიანუ, კონტინეაკუ, სოლომიე (ციოლაკუ 80), ვუსეკუ, მიტუ, დრაგუჩეანუ, კოროდეანუ (სლუსარიუკი 78), მანტა, გირბუ, დრაგომირი (სლუსარიუკი 25), (დრაგომირი 28), (დოია 79), სტანი (მარიოარა 21), მავროდინი; ნიკოლაე

საქართველო: ურჯუკაშვილი; ქავთარაშვილი, ჯიმშელაძე, ხამაშურიძე, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე (ტეფნაძე 33), გიორხელიძე (ჯანელიძე 73), კ. კობახიძე (ნადირაძე 78), ლაბაძე (კაცაძე 2), (ლაბაძე 7), ლეჟავა (კაცაძე 73), მჭედლიშვილი, რაფავა, ცაბაძე გიორგაძე მთიულიშვილი (შველიძე 47)

საჯი: ჯ. კაპლანი (სამხრეთ აფრიკა)

რუმინეთი: 3 ლ: ვიორეანუ, ბრეზოიანუ, მიტუ; 3 გ: მიტუ (3); 2 ს: მიტუ (2)

საქართველო: 2 ლ: ცაბაძე, ქავთარაშვილი; 2 გ: ურჯუკაშვილი (2); 3 ს მაჩიტიძე, ურჯუკაშვილი (2)

ზურაბ მექვაბიშვილი

დუბლინიდან



დასანანია, რომ შეხვედრას, რომელშიც სრული უპირატესობა გაქვს, აგებ, ორმაგად დასანანია, როცა თავად აჩუქებ მეტოქეს მოგებას... ეს საჩუქარი ჩვენმა მორაგბეებმა მეორე ტაიმის დასაწყისში, მე-3 და მე-5 წუთებზე „მოახერხეს", როცა რუმინელებმა ორი ლელო არაფრისგან გაგვიტანეს. ორჯერვე მეტოქეებმა ფეხით ითამაშეს და ჯერ ხამაშურიძემ, მერე კი ბუგიანიშვილმა ხელით სცადეს ბურთის დაჭერა, მაგრამ არ გამოუვიდათ და რუმინელებმა ორჯერვე იხეირეს, ლელოებიც გაახერხეს და გარდასახეს კიდეც, პირველი ტაიმის ანგარიში 6:3 ჩვენს სასარგებლოდ უცებ 6:17 გახდა.

არადა, თამაში ქართველების სრული უპირატესობით დაიწყო. პირველ ნახევარში თითქმის ისეთივე სიტუაცია იყო, როგორიც ირლანდია — საქართველოს შეხვედრისას, როცა ჩვენს მორაგბეებს, ფაქტობრივად, ბურთი ხელში არ აუღიათ. ამჯერად როლები შეიცვალა და ჩვენების მაშინდელ მდგომარეობაში რუმინელები აღმოჩნდნენ. ჩინებულად ითამაშა ბორჯღალოსანთა შერკინებამ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ პირველ თხუთმეტ წუთს რუმინელები ქართველთა ნახევარზე არ გადმოსულან, მაგრამ რად გინდა, გადმოვიდნენ თუ არა, ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, გაიტანეს კიდეც და მატჩის დასაწყისში კახა მაჩიტიძის საჯარიმოთი დაწინაურებულ ქართველებს ანგარიში გაუთანაბრეს.

აქვე ერთი უნდა ვთქვათ, თამაში ახალი გაჩაღებული იყო, როცა ლაბაძე შერკინებისას დაშავდა და ხუთი წუთით გამოაკლდა თამაშს, თუმცა მერე მაინც შეძლო მოედანზე დაბრუნება. ერთი სიტყვით, მე-15 წუთზე 3:3 გახდა. პირველი ტაიმის 6:3 მოგება კი შევძელით, მაგრამ ანგარიშში სხვაობა მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ერთხელ ლაბაძეს, ორჯერ კი ურჯუკაშვილს საჯარიმოები რომ არ გასცუდებოდათ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საჯარიმოები მათ დაახლოებით 35-40 მეტრიდან დაარტყეს, რადგან რუმინელები განზრახ ჯარიმდებოდნენ ამ ზონაში.

მეორე ტაიმი, ზემოთაც გითხარით, ჩვენებურთა უხეში შეცდომებით დაიწყო. 6:17-ზე თითქოს შანსი აღარ იყო. „ლენსდაუნ როუდზე" თავშეყრილ ოციოდ ქართველ გულშემატკივარსაც, რომლებიც მანამდე თავგამოდებით ქომაგობდნენ ბორჯღალოსნებს, შეეტყოთ, რომ გამარჯვების იმედი გადასწურვოდათ. მაგრამ ქართველებმა ერთხელაც გაიბრძოლეს, 29-ე წუთზე ლაბაძემ შეუტია, ჯგუფური ლელოც გავიტანეთ, ურჯუკაშვილმაც გარდასახა და 13:17. რუმინელები აშკარად შეცბნენ, ოთხიოდ წუთში კი ქართველებს კიდევ ჰქონდათ შესაძლებლობა. ამ მომენტმა აზრთა სხვაობა გამოიწვია არა მარტო გულშემატკივრებში, არამედ, ვგონებ, გუნდშიც. რუმინელთა სალელოე მოედნის ხაზიდან ხუთ მეტრში ჯარიმა დაინიშნა, ქართველებმა ჯარიმის დარტყმა ირჩიეს, რაც მხოლოდ სამი ქულაა, არადა, ჩვენი დელეგაციის ზოგი წევრის აზრით, ბორჯღალოსნებს ლელოს გატანა უნდა ეცადათ. საჯარიმო ურჯუკაშვილმა ზუსტად დაარტყა და ანგარიშიც 16:17 გახდა.

თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი ქართველთა იმედები დასამარდა. რუმინელებმა ლელოს გატანა მოახერხეს, მახვილი კუთხიდანაც გარდასახეს, მერე ერთი საჯარიმოც გაგვიტანეს და 27:16 დაწინაურდნენ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



საქართველო — ესტონეთი 3:0.
რატი ალექსიძემ (№8) ბალტიელთა მარჯვენა ფრთა დააწიოკა

# ვისი სული გვსურს?

**კონსტანტინე გოგიშვილი**

გუშინ დიდი არაფერი მომხდარა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ესტონეთის ანალოგიურ გუნდს 3:1 მოუგო და გაიხარა. ჩვენც ასევე.

ერთი ოცი წლით ადრე რომ მომხდარიყო იგივე, ნეტარსახსოვარ საბჭოურ ეპოქაში, არა მგონია, ეგრერიგად გახარებოდა ვინმეს. იტყოდნენ, თბილისის „დინამომ" ტალინის „კალევს" მოუგო, ასეც უნდა მომხდარიყოო და მართალიც იქნებოდა ის ხალხი.

ახლა კი... ახლა სხვა დროა, სხვა ეპოქა, ფეხბურთიც სხვა. სხვანაირად გვიჭირს ახლა, მოგებას დავნატრებივართ ქართველები და ამადაც გვიხარია ორიოდე ლეგიონერით გულ და წელმიცემულ ტალინის „ფლორასთან" გამარჯვება.

18 ნოემბერის, როგორც განსაკუთრებული საფეხბურთო თარიღის, მნიშვნელობას ბევრი არაფერი შეჰმატებია გუშინ. 18 ნოემბერი, როგორც თარიღი, ჯერ თბილისის „დინამოს" პირველ ზეობასთანაა კავშირში, ჯერ ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ფეხბურთელის, ყიფიანის დაბადების დღეა და მხოლოდ მერეა სათქმელი ის, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ესტონეთის გუნდი დაამარცხა 18 ნოემბერს.

იხილეთ მეორე გვერდი

# ალბანეთი უგოლოდ გაბრწყინდა

**EURO 2000**

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

**II ჯგუფი**

**ალბანეთი 0:0 საბერძნეთი**

ალბანეთი: სტრაკოშა, ფაკაი, შულკუ, ჯუმა, ვატა, დალიპი (ჰალილი 53), ჰაჯი, ბუში, კოლა, რაკლი, ტარე

საბერძნეთი: ატმაციდისი, დაბიზასი (ვოკოლოსი 90), მარკოსი, უზუნიდისი, კალიცაკისი, პურსუნიდისი, ზაგორაკისი, ფრანცესკოსი (ლიბეროპულოსი 46), მახლასი, გეორგიატოსი, ნიკოლაიდისი (კონსტანტინიდისი 70)

**მიქელე იანჭუ ტირანადან საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

უგოლო ფრე ნამდვილად ულოგიკო შე[...]გია: ორივე გუნდი გამარჯვების ღი[...] იყო, მაგრამ თავდამსხმელების ხში[...] უზუსტობისა და მეკარეთა ყოჩაღობის [...]ალია, ტირანის მაყურებლებით სავსე [...]მალ სტაფას" სტადიონის ტაბლოზე მა[...]ის ბოლოს ორი ნული რომ ციმციმებდა. [...]ა, ტრიბუნებზე ნემსის ჩასავარდნი ად[...]ლი არ იყო. ფეხბურთს დანატრებული [...]ბანელები, რომელთაც ორი წელი არ [...]ხათ ეროვნული გუნდი „ქემალ სტაფა[...]", მთელი 90 წუთის განმავლობაში ამ[...]ვებდნენ, მხარს უჭერდნენ თავისიანებს.

სამწუხაროა, რომ არწივები მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ. არადა, პირველ ტაიმში მასპინძლები ორჯერ იყვნენ ძალიან ახლოს გოლის გატანასთან. ერთხელ, როცა ალბან ბუშმა 24-ე წუთზე ბერძენთა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და ცარიელ კარს ოდნავ ააცილა, მეორედ კი იგივე ბუში დარჩა ატმაციდისთან ერთი-ერთზე, მაგრამ ბურთი ძელს მოარტყა.



REUTERS ტირანადან

გუშინ ტირანაში. კონსტანტინ ფრანცესკოსის (№8) საბერძნეთმა რუდი ვატას (№5) ალბანეთს ვერა დააკლო

ბერძენთა მწვრთნელი იორდანესკუ, რომელიც ბოლოჯერ მეთაურობდა ნაკრებს, ტირანას იმედიანად ესტუმრა და განაცხადა, სამი ქულის წასაღებად ჩამოვედითო. თუმცა სიტყვა სიტყვადვე დარჩა — ალბანელებმა ბერძნებს ამის საშუალება არ მისცეს. მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ და უფრო ლოგიკური სწორედ მათი გამარჯვება იქნებოდა. თავდამსხმელებს, რომლებიც სწრაფად და სახიფათოდ მოქმედებდნენ, ოდნავ რომ გამართლებოდათ, ბერძნები შინ მთლად ხელმოცარულნი გაბრუნდებოდნენ.

მეორე ტაიმში იორდანესკუმ ერთი გონივრული ცვლილება გააკეთა — ფრანჩესკოსი ლიბეროპულოსით შეცვალა და სტუმართა თავდასხმაც გააქტიურდა, უფრო სწორად, მათი კონტრშეტევები ძალიან გამწვავდა. ბერძნებს 62-ე წუთზე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ორი-სამი მეტრიდან ვერ შესძლეს კარში დარტყმა. ხუთი წუთის შემდეგ კი ტარეს უნაღდესი მომენტი გაუცუდდა — ატმაციდისმა აჯობა. კიდევ სამი წუთი და უკვე სტრაკოშამ მოუგო დუელი ლიბეროპულოსს, რომელიც მასთან პირისპირ დარჩა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

# ვისი სული გვსურს?

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი
18 ნოემბერი. თბილისი. ეროვნული. 28 000 მაყურებელი

## საქართველო 3:1 ესტონეთი

**1:0 აშვეთია (65), 2:0 დ. ჯანაშია (72), 3:0 აშვეთია (85), 3:1 არბეიტერი (88)**

დასაწყისი პირველ გვერდზე

ეროვნულ სტადიონზე კი არავის გახსენებია 1964 წლის 18 ნოემბერი. არც მესხი მოჰგონებიათ, არც მეტრეველი, არც სხვები — ხალხი, ვინც პირველად გააბრწყინა საფეხბურთო საქართველო.

მეორედ ჩემპიონებს კი მიულოცეს, 1978 წლის 5 ნოემბერს რომ ალზევდნენ, მაგრამ აქაც შეეშალათ ერთი რალაც — 1978 წლის 10 ნოემბერი გამოაცხადეს.

ესტონელთა ნაკრებთან ქართველების მეტოქეობას კი უმალ სხვა რამ მატებდა ელფერს, ვიდრე ფეხბურთი. არავისთვისაა დაფარული, ჩვენი ეროვნული ნაკრები ახლა სერიოზული ცვლილებების წინ დგას (ან კი, ან არა), გუშინდელი მატჩით ბევრ რამეს (ან ვინმეს) უნდა გასცემოდა პასუხი და გადახალისებულმა ეროვნულმა ნაკრებმაც, შეიძლება ითქვას, დაიჭირა გამოცდა.

არა, გუშინ არ გაფრენილან ჩვენები, არც ვარსკვლავები მოუწყვეტიათ ცაში. პირველი ტაიმი ჩვეულებისამებრ, ნამდვილ ქართულად „ჩააგდეს", ინერვიულეს, კომპლექსები მოსჭარბდათ, მეორეში კი შეძლეს და გატეხეს მეტოქე.

გუშინ მოედანზე ერთი კაცი ირჩეოდა სხვათაგან - დავით ჯანაშია. იგი რომ ფორმაშია, ამას „ტორპედოში" მისი გარჯაც ადასტურებს. ჯანაშია ფორმაშია და ვფიქრობ, ყველას დაუმტკიცა დათომ (თუნდაც ესტონელებთან მატჩში), რომ მისი ეროვნულ ნაკრებში თამაში სულაც არ აწყენს ჩვენს მთავარ გუნდს.

სხვები კი იმად იყვნენ კარგები, რომ იბრძოდნენ, თავს დებდნენ. ამ ბიჭებმა, ბევრს რომ პირველად ეცვა ნაკრების მაისური, ჯიგარი დაანახეს ხალხს. მათ გარჯას ერთი რამ გასდევდა მოტივად - ეროვნული ნაკრები არ არის რომელიც გინდა პარკი. აქ მოსეირნეებისთვის ადგილი არ არის. ვისაც სეირნობა მოსურვებია, ამისთვის სხვა ადგილები მოუგონიათ (ჩვენში მუშტაიდი ან ვაკის პარკი, სხვაგან ჰაიდ-პარკი ან დისნეი-ლენდი).

გუშინდელი შეხვედრა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ქართველებმა მეორე სართული მოუგეს მეტოქეს. არადა, ტრადიციითაც და ამჟამინდელი მონაცემებითაც პირიქით უნდა ყოფილიყო.

იმად ვაქებ გუშინდელ მატჩს, რომ ეროვნული ნაკრების კანდიდატთა მარაქას ოთხიოდ სხვადასხვა ამპლუის ფეხბურთელიც შეემატა. ჯანსაღადაც შეემატა და ჯანსაღი კონკურენცია რომ კაი ხილია, ამას არა მებაღის დიაგნოზი არ სჭირდება.

ისიც სასიხარულოა, რომ ალბანეთი — საბერძნეთი 0:0 დამთავრდა. ესე იგი...

ერთი სიტყვით, ბევრი რამე ასხამს ჩვენს წისქვილზე წყალს. ის წვიმაც ჩვენი იყო, გუშინ პაიჭაძეზე რომ მოდიოდა. მას თუ დავაბრალებთ ალექსიძის, მუჯირის, აშვეთიას, ჯანაშიას, ბალაშვილის, რევაზიშვილის, თარხნიშვილის ტექნიკურ ვარდნებს, თორემ ქართველები და ამდენი ვარდნა? ქართველები და მსგავსი თავგამოდება (ეს ისე, რა თქმა უნდა ხუმრობით)?

ზემოთ ნახსენებ თარიღებთან ერთად, ერთმაც დაგვწყვიტა გული — ამ მოგებას მოწვეული მსაჯები უფრო დაშვენდებოდა. არა, მალაღურაძისა და თანამსაჯების საწინააღმდეგოდ არ გვიბრუნდება ენა, მაგრამ უცხო მსაჯები მოგვეწვია, ეს იქნებოდა უპრიანი.

ერთ რამეშიც დავრწმუნდი გუშინ, თუკი ფლანგებს სწორად გამოიყენებს გუნდი და თუ ფორვარდს თავით თამაშის თავი აქვს, „ბეტონებისა" და „ზებეტონების" დაძლევაც შეიძლება. ისიც საფიქრალი და სავაგლახოა, რომ შეხვედრის ბოლო ჩაუვარდათ ქართველებს. ფეხბურთმა კი ეს იცის — კარგია ის, რაც კარგად მთავრდება.

სულ ეს იყო, რაც გუშინდელი მატჩის შემდეგ მოხვდა გულს. ის კი, გრიშიკაშვილი ჯობს, თუ გვარამაძე, ერთი თუ მეორე ჯანაშია, აშვეთია თუ არველაძე - ჯერჯერობით (და მხოლოდ) გუცაევის გადასაწყვეტია.

### პრესკონფერენცია

პრესკონფერენციაზე პირველი სიტყვა, ცხადია, სტუმართა თავკაც ტეიტურ ტორდარსენისა იყო.

— შეხვედრის შედეგითა და მსაჯობით უკმაყოფილო ვარ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არბიტრებმა არ იცოდნენ, როგორი გადაწყვეტილება მიეღოთ, უფრო სწორად, ისინი ორჭოფობდნენ და ამის გაკეთებას აგვიანებდნენ. თუმცა არ ვამბობ, რომ სწორედ მსაჯობის გამო დავმარცხდით.

ვიცი, რომ თქვენი გუნდი არ იყო საქართველოს პირველი ნაკრები და მხოლოდ სამი დღის წინ შეიკრიბა, მაგრამ შეუთამაშებლობისა მას ვერაფერი შევატყვე. ქართველებმა სწრაფი, ტექნიკური და კოლექტიური ფეხბურთი გვიჩვენეს. მათგან არავის გამოყოფა არ მინდა, ყველანი ძალიან ტექნიკურები არიან და ლამაზად თამაშობენ.

ჩემს გუნდში მხოლოდ ორი ფეხბურთელი არ მყავდა იმათგან, ვინც შოტლანდიის ნაკრებს ეთამაშა. იმ მატჩისგან განსხვავებით, აშკარა იყო, რომ ბიჭებმა ვერ აჩვენეს ის სულისკვეთება, რაც სქოთების წინააღმდეგ წარმოაჩინეს.

ჩვენი ფეხბურთელები მსაჯების გადაწყვეტილებების გამო ხშირად ცხარობდნენ და სათამაშო დისციპლინაც დაკარგეს. მეორე გოლმა კი საბოლოოდ გაგვტეხა და კონცენტრაცია ვერ შევძელით.

ესტონელ კოლეგას სიტყვა ვლადიმერ გუცაევმა ჩამოართვა:

— რა თქმა უნდა, შედეგს ფეხბურთში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და კმაყოფილი ვარ, რომ მოვიგეთ, მაგრამ საამმატჩოდ სულ სხვა მიზანი გვქონდა. გვინდოდა, საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელები გვენახა და პირველი ნაკრებისთვის დიდი სელექციური სამუშაო ჩაგვეტარებინა. მართალი გითხრათ, ბევრმა მათგანმა გაგვახარა.

არ მინდა, ეს ნაკრები ეროვნულ გუნდს შევადარო, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ამ ბიჭებმა უფრო დიდი ბრძოლისუნარიანობა აჩვენეს და მოგებისთვის ყველაფერი გაიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ჩემპიონატში დაბალი დონეა, ფეხბურთელებს ვარჯიშებიც აკლიათ და კვებაც. საკმარის ფულსაც ვერ იღებენ, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. უნდა გამოხვიდე და გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთო. დღეს ბიჭებმა ეს შეძლეს და თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კი ვისიამოვნე. იყო ბრძოლა, კომბინაციები, ლამაზი გოლებიც ვიხილეთ.

კმაყოფილი ვარ ბალაშვილის, რომელსაც მხოლოდ გამოცდილება აკლია. მომეწონა ჩხაიძე — იგი ხომ ასეთი სწრაფი ფეხბურთელია და ჩვენ კი რატომღაც ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. სისწრაფე ხომ მთავარია თანამედროვე ფეხბურთში. იგივე ჯანაშია. ხომ ნახეთ მეორე გოლი? ფაქტობრივად, დათომ თავისი სისწრაფის წყალობით გამოგლიჯა ბურთი მცველს და ისე შეაგდო. კიკნაძემაც გვაჩვენა, რომ ნელნელა გაიზარდა. ალექსიძეზე და აშვეთიაზეც იმავეს თქმა შემიძლია.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენებმა ბევრი „პადკატი" გააკეთეს, მე ამის მომხრე საერთოდ არ ვარ. „პადკატი" უნდა გააკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იცი, რომ ბურთს ნამდვილად აილებ ან მაშინ, როცა გამოუვალი მდგომარეობაა. თუ ფეხბურთელი ამგვარ რამეს ცენტრში აკეთებს, იგი ისვენებს, რადგან, როცა მინდორზე წევხარ, არაფერი არ შეგიძლია. აი, ბრძოლაში კი, ერთდროულად სამ თანაგუნდელთან ერთად როცა მიდიხარ ბურთის ართმევაზე, უფრო დაზღვეული ხარ და „პადკატიც" შეიძლება გააკეთო.



მიხეილ აშვეთიამ (№10) მარტ პოომს ორჯერ გაუტანა

არავინ იფიქროს, რომ რადგან გუნდში ბევრმა ქუთაისელმა ითამაშა, ქუთაისურ ნაკრებს ვაკეთებ. მე არც ქუთაისურ და არც „დინამოს" ფეხბურთელთა ნაკრებს არ ვქმნი. დღესდღეობით ვინც საუკეთესოდ მიმაჩნია, ისინი დავაყენე.

რაც შეეხება მუჯირს, იგი იმიტომ შევიყვანე, რომ ყველაფერთან ერთად ძალიან ძლიერი დარტყმები აქვს და როცა გოლი მწიფდებოდა, ასეთი კაცი აუცილებლად საჭირო იყო. თუმცა კვეტენაძის თამაშითაც კმაყოფილი ვარ, ამ ბიჭმაც კარგად იბრძოლა.

მატჩამდე ბიჭებს ვუთხარი, რასაც გავალებთ, მაქსიმალურად შემისრულეთ და შედეგიც იქნება-მეთქი. შეხვედრამ დაგვანახა, რომ თუ ასრულებ იმას, რასაც მწვრთნელი გავალებს, თანაც როცა ფეხბურთელების კონტინგენტი ნორმალურია, იქ თამაში შეიძლება წაგივიდეს.

ჩვენი მთავარი მიზანი მებრძოლი გუნდის შექმნაა. მებრძოლი გუნდი ყველა მატჩში არ დამარცხდება. მან შეიძლება ერთი თამაში წააგოს, ხუთი მოიგოს და ორი ფრედ დაამთავროს.

### მატჩის შემდეგ

თამაშის შემდეგ *მიხეილ აშვეთია* ალფრთოვანებას ვერ ფარავდა: — ეს ლამაზი, ამავდროულად სასარგებლო და მეტად საჭირო გამარჯვება იყო. უზომოდ ბედნიერი ვარ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ რალაც შეგვიძლია, ბიჭებმა სრულად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები. მთავარ მწვრთნელსაც გავუმართლეთ იმედი. ტაიმებს შორის შეტანილი მისი კორექტივები სრულფასოვნად გამოვიყენეთ და შედეგმაც არ დააყოვნა. ისე, ესტონელთაგან მეტ წინააღმდეგობას მოველოდით, მაგრამ ამგვარი სულისკვეთებით, ვფიქრობ, ნებისმიერ შემთხვევაში გავიმარჯვებდით.

*გიორგი რევაზიშვილს* ყოველთვის ემჩნევა, რომ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია: — ჩვენი დამარცხება ორმაგად მტკივნეული იქნებოდა, ვლადიმერ გუცაევს უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებდით. ეს თითოეულ ჩვენგანს ბოლომდე ჰქონდა გათვითცნობიერებული. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მთავარ მწვრთნელს გავუმართლეთ. ამ გამარჯვებაში მისი დამსახურება მართლაც დიდია.

*დავით ჯანაშია* დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს. მისი ხელახალი დებიუტი საკმაოდ წარმატებული გამოდგა. ეს თავად დათოს ნათქვამიდანაც კარგად ჩანს — ნაკრებში ბოლოს რამდენიმე წლის წინ ვიყავი, ამიტომ დღეს ვცდილობდი, რაც შეიძლება უკეთ მეთამაშა და ჩემი შესაძლებლობები დამემტკიცებინა. პირველ ტაიმში რალაც ვერ ავაწყვეთ, მეორეში კი უფრო გაიხსნა თამაში. ვფიქრობ, ურიგოდ არ გავისარჯეთ. ეს შედეგზეც ნათლად აისახა. ჩემს თამაშს კი ნორმალურად შევაფასებდი.

*გიორგი კიკნაძემ* ჩვეული თავდადებით ითამაშა — ფაქტობრივად ორი დღის შეკრებილნი ვიყავით, ეს პირველ ტაიმშიც გამოჩნდა, მეორეში კი ნელ-ნელა გავუგეთ ერთმანეთს და თამაშიც გამოვასწორეთ. რაც ყველაზე მთავარია, მოვიგეთ და ვფიქრობ, ახალშეკრებილი გუნდის კვალობაზეც საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. ჩვენი გამარჯვება ბევრისთვის სტიმული უნდა იყოს. მინდა, თანაგუნდელებს მადლობა გადავუხადო ასეთი თავდადებისთვის. პირადად მე დღევანდელი დღით ძალიან გახარებული და კმაყოფილი ვარ.

ესტონელთა გოლკიპერი *მარტ პოომი* თავჩაქინდრული ტოვებდა გასახდელს. ეტყობა, დაუწერელი საფეხბურთო კანონი გაახსენდა — კარგი მეკარე რომ ახლო კუთხეში არ უშვებს ბურთს. მესამე გოლი ხომ მისი მიუტევებელი შეცდომის შედეგად აღმოჩნდა სტუმართა კარში.

— ეს ბურთი მართლაც არ იყო გასაშვები. რეაქცია დამიგვიანდა, თანაც სველ მინდორზე ფეხი ვერ მოვიკიდე. ესეც არ იყოს, დარტყმაც უნაკლოდ იყო შესრულებული... თქვენებმა მართლაც პირწმინდად დაგვჩაგრეს, კარგი გუნდი გყოლიათ. გამარჯვებას იმსახურებდით და მოიგეთ კიდეც. ჩვენ კი ორივე ტაიმის განმავლობაში უსუსურნი ვჩანდით. პრინციპში, წარმატების შანსიც არ მოგვცემია.

**ხვიჩა სანიძიძე**
**ბაატა კვანტალიანი**
**ბაატა თოთაძე**
**ვანო ოქროპირიძე**



დავით ჯანაშიამ (№9) ნაკრებში დაბრუნება კარგი თამაშით და გოლით აღნიშნა

**საქართველო**

1. გრიშიკაშვილი
3. თარხნიშვილი
2. ბალაშვილი — 5. ჩხაიძე
4. დიდავა
6. რევაზიშვილი — 11. კ. კვეტენაძე — 8. ალექსიძე
7. კიკნაძე
9. დ. ჯანაშია — 10. აშვეთია

11. ზელინსკი — 8. ოპერი
9. კრისტალი — 10. შვეცი
7. სმირნოვი
6. ალონენი
4. ხოხლოვ-სიმსონი
5. როობა — 2. მეეტი
3. კირსი
1. პოომი

**ესტონეთი**

შეცვლა: **ზელინსკი — 13. არბეიტერი (53), კვეტენაძე — 15. მუჯირი (56), რევაზიშვილი — 14. ღუდუშაური (62), თარხნიშვილი — 13. ფოფხაძე (64), ჩხაიძე — 16. ჯელაძე (72), კირსი — 14. სავიაუკი (74), გრიშიკაშვილი — 12. ლომაია (76), შვეცი — 17. ვიკმიაე (80), ოპერი — 15. ოკონელ-ბრონინი (85), კრისტალი — 18. ალასი (90)**

გაფრთხილება: **ზელინსკი (28), ჯანაშია (35), ჩხაიძე (37), სმირნოვი (49)**

მთავარი მსაჯი: **მ. მალაღურაძე (საქართველო)**

### მატჩის სტენოგრამა

5 წუთი. დავით ჯანაშიამ მცველ-ურმას როობას ბურთი მოჰპარა, მეურვე მოატყუა და კარის წინ დაბალი ბურთი ჩააწოდა, იქ მყოფი აშვეთია კი ვერ მისწვდა.

9. კრისტალმა ჯარიმიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, იქ კი ბალტიისპირელთა კაპიტანი ხოხლოვ-სიმსონი გამოხტა და მახვილი კუთხიდან ფეხით ძლიერად დაარტყა, ქართველები ძელმა იხსნა.

18. საჯარიმოში ბურთიანად შესულმა ალექსიძემ კარის გასწვრივ ჩააწოდა, იქ აშვეთია ცდილობდა ბურთის კარში გაგზავნას, მაგრამ კვლავ ვერ მისწვდა.

22. სწრაფმა ჯანაშიას საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი აშვეთიამ თავურით ხარიხას მოარტყა.

50. რევაზიშვილის ფლანგურ ჩაწოდებულს ალექსიძემ თავი შეაგება — არაზუსტად.

52. კვეტენაძემ რევაზიშვილი მონახა, ამან კი კარის გასწვრივ დაბალი ჩააწოდა. ესტონელები დაიბნენ, ბურთი კი ალექსიძეს მიგორდა. რატიმაც უმალ დაარტყა, მაგრამ მცველები გადაეღობნენ და სიტუაცია გააუვნებელყვეს.

58. მუჯირმა ჯარიმიდან ცოცხალ კედელს გაარტყა, იქიდან ასხლეტილი ბურთი კი კიკნაძემ აშვეთიას მიაწოდა. მიხომაც ძლიერად დაარტყა — ესტონელები ძელმა იხსნა.

63. მარკო კრისტალის დარტყმული საჯარიმო გრიშიკაშვილმა [illegible]ტებით ნახტომში მოიგერია.

65. მარცხენა ფლანგზე ალექსიძემ ჩხაიძეს მიაწოდა, გიამ ესტონელი ვერ ააცილა, იქვე ფეხი მოიქნია, საჯარიმოში კი ყველას აშვეთია დაასწრო და მძლავრი თავურით ბრიტანულ სტილში ბურთი „დერბი ქაუნთის" მარტ პოომის კარის ცხრიანში შეჭედა 1:0.

72. დავით ჯანაშიამ ბრძოლაში მოიგო ბურთი, მეურვე სისწრაფით დაჯაბნა და საჯარიმოში შესულმა შორეულ მარცხენა კუთხეში ძლიერი დარტყმით გაიტანა 2:0.

78. სტუმართა კონტრშეტევისას მარკო კრისტალმა მახვილი კუთხიდან დაარტყა, ახალშესულმა ლომაიამ კი ნახტომში აილო.

82. ალექსიძის მოწოდებული [illegible]ხურისას ჯანაშიამ ორი კაცი მშვენივრად ჩამოიცილა და [illegible] დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა.

85. ალექსიძემ ფლანგიდან საჯარიმოში მყოფი აშვეთია მოძებნა, მიხომაც შემოტრიალებით უძლიერესად დაარტყა და პოომს შანსი არ დაუტოვა 3:0.

88. არბეიტერმა საჯარიმოს გარედან დაარტყა, ლომაიამ ნახტომში დააგვიანა 3:1.

90. ოკონელ-ბრონინმა ჯერ ბალაშვილი, შემდეგ კი ჯელაძე ჩამოიშორა, მეკარესთან მარტო დარჩენილმა დაარტყა, ლომაიამ კი ბურთი ფეხით მოიგერია.

# გურია დაინდეს, ტოგონიძე — არა

გუშინწინ გამართულმა სფფ-ის სადისციპლინო კომისიამ ეროვნულ ჩემპიონატში მომხდარი ერთბაშად 17 დარღვევა განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო. დავიწყოთ უფრო მნიშვნელოვანით. პირველი ჯგუფის მეთოთხმეტე ტურის ერთი მატჩი — „მერანი" — „გურია" არ შედგა, ლანჩხუთელები არ ჩამოვიდნენ თბილისში. გურულების სეზონში უკვე მეორე მატჩში გამოუცხადებლობამ (პირველად მსგავსი ფაქტი თასის მეთექვსმეტედფინალის მატჩისას მოხდა, რისთვისაც „გურია" გათამაშებიდან მოიხსნა) საფეხბურთო წრეებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია, თუმცა მატჩის ჩაშლის ნამდვილი მიზეზი სადისციპლინო კომიისთვის ჯერჯერობით უცნობია. კარგა ხნის მსჯელობის შემდეგ კომისიამ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო — თბილისის „მერანთან" კალენდარულ მატჩზე გამოუცხადებლობის გამო ლანჩხუთის „გურიას" 0:3 წაგება ჩაეთვალა. როგორც კი კლუბის წარმომადგენლები სფფ-ში წარმოადგენენ მატჩის გაცდენის მიზეზის ამსახველ შესაბამის საბუთებს, სადისციპლინო კომისია დამატებით შეიკრიბება და აღნიშნულ დარღვევას საფუძვლიანად განიხილავს.

ეროვნული ნაკრების მეკარე ნიკა ტოგონიძეს „დილა" — „ბათუმი" სათასო მატჩისას გამოჩენილი თავშეუკავებლობისთვის და არბიტრ ავთანდილ შალამბერიძის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 1998 წლის ბოლომდე და პირობითად სეზონის ბოლომდე მიეცა დისკვალიფიკაცია. ამასთანავე იგი 300 ლარით დაჯარიმდა. ანალოგიური დარღვევისთვის მკაცრად დაისაჯნენ მეორეჯგუფელ სართიჭალის „ქანაგკოს" ფეხბურთელები — ზაზა მელიაშვილი და ლევან ცაგარეიშვილი. ორივეს ერთი წლით აეკრძალათ ფეხბურთის თამაში. დაუსჯელი არც კლუბი დარჩა. დებულების თანახმად, „ქანაგკოს" 3 ქულა ჩამოაკლდა.

მსაჯის გინებისთვის ჟინვალელ ალუდა ქეთელაურს სამი თამაში გაუცდება. თემიდის მსახურთა ლანძღვისთვის ორ-ორ თამაშს გამოტოვებენ და შესაბამისად ას-ასი ლარით შეითხელებენ ჯიბეს ოზურგეთის „მერცხალის" ფეხბურთელი მალხაზ თორია და ზოოვეტის მოთამაშეები — ლაშა ალავიძე და ბაადურ ურუშაძე. მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობისთვის ორი თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია ბორჯომის „თორის" ფეხბურთელ გიორგი ციცქიშვილს.

ფეხბურთელებმა არც ერთმანეთი დაინდეს. ოდიშელი ირაკლი ბარქაია მეტოქის შეურაცხყოფისთვის ორ თამაშს გამოტოვებს. უხეში თამაშისთვის ასევე ორ შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას თბილისის საფეხბურთო კლუბ „იბერიის" ფეხბურთელი კახა ლიპარტელიანი. ერთმანეთში დავისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიეცათ დავით ჯოლოხავას („სქური") და ტარიელ ბელქანიას („სამეგრელო").

მსაჯების გინებაში და ფიზიკურ შეურაცხყოფაში ფეხბურთელებს მაყურებლებიც გაეჯიბრნენ. 29 ოქტომბერს „ჩიხურა" — „სამეგრელოს" მატჩის შემდეგ საჩხერელი მაყურებლის უსაქციელობით კლუბი დაზარალდა. დებულების თანახმად, „ჩიხურას" 3 ქულა ჩამოაკლეს.

ნოემბერში ცუდი ყოფაქცევით მწვრთნელებმაც გამოიჩინეს თავი. 7 ნოემბერს „ბათუმ" — „კოლხეთის" მატჩისას მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენეს ფოთის „კოლხეთის" მწვრთნელმა მამუკა მიქავამ და ადმინისტრატორმა იური გობრონიძემ. შეუფერებელი საქციელისთვის სადისციპლინო კომისიამ ორივეჩ სასტიკი საყვედური გამოუცხადა უკანასკნელი გაფრთხილებით. „კოლხეთის" ხელმძღვანელობას კი დაევალა, მათი კლბში შემდგომი მუშაობის საკითხი განიხილონ და გადაწყვეტილება ფეხბურთის ფედერაციას აცნობონ. ამასთანავე ისინი ას-ას ლარით დაჯარიმდნენ.

თითო მატჩს გამოტოვებენ — ვალერი გაგუა (არსენალი), გიორგი ჩიტაური (საუ), მანუჩარ კვარაცხელია (ენგური), მაკარ თორთლაძე (მეშახტე), ვალერი ისიანი (ალგეთი).

**მიხეილ საგაძტარიშვილი**



საქართველოს ნაკრების მეკარე ნიკა ტოგონიძე გაზაფხულამდე დაისვენებს

# გიორგობის თვეო...

**საქართველოს თასი მერვედფინალი**

ოცდაათ ნოემბერს საქართველოს ჩემპიონატში საზამთრო არდადეგები გამოცხადდება. ამ დღეს მეექვსე ტურის გადადებულ შეხვედრაში თბილისის „დინამო" ფოთის „კოლხეთს" უმასპინძლებს. მანამდე კი პირველი წრის ბოლო ტურის და თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები გველის. გიორგობის თვის მიწურულმა ის გუნდები უნდა გამოავლინოს, რომლებიც მომავალ გაზაფხულზე ჩემპიონობისა და თასის მოპოვებაზე იბრძოლებენ, თუმცა ისეთებიც ბევრი გვეყოლება, პირველ ჯგუფში დასარჩენად დიდი ოფლის ღვრა რომ მოუწევთ.

ესტონეთის ეროვნული ნაკრების სტუმრობასთან დაკავშირებით თასის მერვედფინალის ჩატარების თარიღები შეიცვალა. თვრამეტი ნოემბრის ნაცვლად „ლოკომოტივი" — „დინამოს" და „ტორპედო" — „კოლხეთის" შეხვედრები ოცდაექვსში გაიმართება. დანარჩენი ექვსი წყვილი კი დღეს ითამაშებს.

უდავოდ საინტერესო მატჩი გველის წყალტუბოში, სადაც „სამგურალი" „იბერიას" უმასპინძლებს. სამტრედიაში ამ გუნდებმა 1:1 ითამაშეს. „ეროსი მანჯგალაძის" მოედანზე გაიოზ დარსაძემ ახალგაზრდებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და სასურველ შედეგსაც მიაღწია. დღევანდელ შეხვედრაში წყალტუბოელებს უგოლო ფრეც ჰყოფნით მეოთხედფინალში მოსახვედრად. თუმცა ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ხელმოცარული იბერიელები უბრძოლველად არას დათმობენ.

„ვიტ ჯორჯია" — თსუ-ს წყვილში სტუმარ-მასპინძლის არანაირი კომპლექსი არ არსებობს. ეს გუნდები ხომ მცხეთაში „არმაზზე" ვარჯიშობენ და საშინაო მატჩებსაც იქ ატარებენ. მათი პირველი სათასო შეხვედრა 2:2 დამთავრდა. ძნელია, იწინასწარმეტყველო დღევანდელი მატჩის შედეგი. ჩვენი აზრით, ორივე გუნდს შემდეგ ეტაპზე მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს. ამ მატჩს სხვებისგან განსხვავებით პირველი შეხვედრის არბიტრ ფანიაშვილის ნაცვლად თამაზ ლორთქიფანიძე იმსაჯებს.

ბოლნისში რუსთავის „გორდას" ძალიან გაუჭირდება ადგილობრივი „სიონის" წინააღმდეგ ღირსეული პაექრობა. ბოლნისელებმა საგრძნობლად აიმაღლეს თამაშის დონე და „ფოლადზე" 0:0 დამთავრებული შეხვედრის შემდეგ შეეცდებიან, გზა გაიკაფონ თასის გათამაშების მეოთხედფინალში. თუმცა საკითხავია, უფულობის გამო ფეხბურთზე ხელჩაქნეული რუსთაველები თუ ჩავლენ ბოლნისს?

უფულობის სენი აწუხებს გორის „დილასაც". ქართლელები შინ „ბათუმთან" 1:2 დამარცხების გამო საპასუხო მატჩის წინ დიდი დილემის წინაშე დგანან. „ბათუმი" კი ევროტურნირზე გასასვლელად წლეულსაც თასის დაუფლებას შეეცდება, რადგან ჩემპიონატში მეტად უჩვეულოდ და უფერულად ირჯება.

ტრანსპორტელებმა „სინათლეზე" 3:0 მოუგეს „ოდიშს" და ასეთი ანგარიშის გაქვითვა, დაგვეთანხმებით, ერთობ ძნელია. ზუგდიდელებმა საფეხბურთო სასწაული უნდა მოახდინონ. ოდიშარებმა მეთოთხმეტე ტურში 0:1-ზე, ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს „ბათუმს" და სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს, არადა, ამას მათგან არავინ ელოდა. ვნახოთ, იქნებ დღესაც შემოგვთავაზონ სიურპრიზი... ასე რომ, „მერანს" დიდი სიფრთხილე მართებს.

მეოთხედფინალში უდავოდ უნდა გავიდეს თბილისის „არსენალი". არმიელები მეორეჯგუფელ ბათუმის „კოლეჯს" სტუმრად 1:1-ს ეთამაშნენ და, ვფიქრობთ, შინ სასურველი შედეგის მიღწევა არ გაუჭირდებათ.

ოცდაექვს ნოემბერს ვაკეში დიდი ბრძოლა გველის. ჩემპიონატში დაუმარცხებელი „ლოკომოტივი" ასევე დაუმარცხებელ „დინამოს" უმასპინძლებს. მათი პირველი შეხვედრა 0:0 დასრულდა. „ეროვნულის" მინდორზე ფეხბურთელებმა ბურთის გატანა ვერ მოახერხეს, „26 მაისის" ოღრო-ჩოღრო მოედანზე კი ამის გაკეთება ორმაგად გაუჭირდებათ. არაა გამორიცხული, ამ წყვილში გამარჯვებული თერთმეტმეტრიანების სერიამ გამოავლინოს.

ოცდაექვსში ქუთაისშიც უშელავათო პაექრობას უნდა ველოდოთ. ტორპედოელებმა ფოთში პირველი ტაიმი 1:0 მოიგეს, თუმცა მეორე ნახევარში აშკარად მოეშვნენ და კოლხებისგან სამი უპასუხო გოლი მიიღეს. საეჭვოა, „კოლხეთმა" ხელიდან გაუშვას ასეთი უპირატესობა, მაგრამ მეთოთხმეტე ტურში რუსთავში შვიდი ბურთის გატანით იმტაზე მოსული ქუთათურებისგან ყველაფერია მოსალოდნელი...

გიორგობის თვემ ნატვრის მოძალება იცის, მისი ამარა კი ძნელია სანუკვარი მიზნის მიღწევა...

**ხვიჩა სანიკიძე**



ბაქოს ტურნირში გამარჯვებული თბილისის „შევარდენი"

# პაემანი ვერაზე

ხვალ ჭადრაკის სასახლეში, 11 საათზე, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდის მწვრთნელი, პრეზიდენტი, ფეხბურთის მესვეურები, გულშემატკივრები, ჟურნალისტები, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბებიან და ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას მოხსენებას მოუსმენენ, რომელიც ფედერაციის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე ილაპარაკებს.

საფეხბურთო ფორუმი — ასე ეწოდება ამ ღონისძიებას.

22 ნოემბერს კი უეფაში მისი ყველა წევრი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა პრეზიდენტები შეიკრიბებიან. სასაუბრო ბევრი ექნებათ, მათ შორის, ალბათ, მერაბ ჟორდანიაც იტყვის სათქმელს.

ფედერაციის პრეზიდენტი გუშინ დაბრუნდა შვეიცარიიდან, გუშინვე ეროვნულ ნაკრებთა მატჩს დაესწრო. 21-ში კი ისევ ევროპაში გაემგზავრება. სამწუხაროდ, მასთან შეხვედრა ვერაფრით მოვახერხეთ, იგი ძალიან დაკავებული იყო, სტუმარი სტუმარზე აკითხავდა.

**კობა ინასარიძე**

# ხომერიკი დაბრუნდა და მიდის

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირებში დამკვიდრებულ თბილისის „დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი ლევან ხომერიკი ისრაელს რომ გადაბარგდა, ადრე გაცნობეთ, თუმცა ფორვარდი აღთქმული მიწიდან მალევე დაბრუნდა. თურმე ლევანს ჰაიფას „ჰაპოელის" მწვრთნელები თამაშის საშუალებას არ აძლევდნენ, სულ ორჯერ თუ სამჯერ შეუყვანიათ მინდორზე შემცვლელად. ასე კი ფეხბურთელის ოსტატობაში ვერ დარწმუნდები. ხომერიკსაც აღარ მოუსურვებია „ჰაპოელში" გაჩერება და თბილისს დაბრუნდა. მისი ახალი გუნდის ვინაობა ჯერ უცნობია, შესაძლოა, ისევ ისრაელს მიაშუროს, ოღონდ სხვა კლუბს, რომელიც დაინტერესებულია, ლევანმა მათ გუნდში ითამაშოს.

**კობა ინასარიძე**

# ხვადაგიანი ტორპედოდან ტორპედოში

ქუთაისის „ტორპედოს" კარგა ხნით დაშორებული ვახტანგ ხვადაგიანი დაუბრუნდა. მას შემდეგ, რაც „ტორპედო" და „ალანია" ხვადაგიანის თაობაზე ვერ შეთანხმდნენ და ვახტანგსაც ტრავმამ ნახევარი სეზონი გამოატოვებინა, ქუთაისელებმა ტანმაღალი მცველი ისევ გაიხსენეს.

ხვადაგიანს „ტორპედოს" ახალი პრეზიდენტი მიხეილ ქორქია დაკავშირებია და როგორც დღეს ქუთაისში ჩავა ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად.

მანამდე კი ხვადაგიანმა სამართალი იპოვა — ქუთაისელთა ყოფილ პრეზიდენტ ბესიკ ჯიქიას დავა მოუგო. ჯიქია ხვადანიანს განთავისუფლების ფურცელს არ აძლევდა, ფეხბურთელი კი თვლიდა, რომ კონტრაქტი დაურღვიეს. ერთი სიტყვით, „ტორპედოდან" თავდაღწეული ხვადაგიანი „ტორპედოსვე" დაუბრუნდა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# იბერიას კოპალეიშვილი უთავკაცებს

სამტრედიის „იბერიამ" მეცამეტე ტურში შინ ბოლნისის „სიონთან" 1:2 დამარცხების შემდეგ მთავარი მწვრთნელი ბადრი ქორიძე მოისაკლისა. მომდევნო ტურში გუნდს მცხეთაში თსუ-ს წინააღმდეგ მისმა თანაშემწემ ანატოლ მესიაჩენკომ უხელმძღვანელა. „იბერიის" პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკალაიშვილმა „სამგურალთან" სათასო შეხვედრის შემდგომ ჩვენთან საუბარში ოთხი შესაძლო კანდიდატი დაგვისახელა მთავარი მწვრთნელის პოსტისთვის — ჯონი ჯანელიძე, ანზორ გძელიძე, ამირან მინაშვილი და ვალერიან ჩხარტიშვილი. თუმცა გამოგვიტყდა, კარგი იქნება თუ ვახტანგ კოპალეიშვილს დავითანხმებთო. გუშინ საღამოს კვლავ დავუკავშირდით ნიკოლაიშვილს, რომელმაც გვამცნო — ველაპარაკე ვახტანგს და იგი თანახმაა, „იბერიას" ჩაუდგეს სათავეში, მაგრამ ამისათვის საჭიროა ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას დასტური, რადგან ხომ იცით, კოპალეიშვილი საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების თავკაცია და საამსაქმოდ ფედერაციამ ნებართვა უნდა მისცეს. თუ ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც ჩვენ გვსურს, მეთხუთმეტე ტურის საშინაო შეხვედრაში „კოლხეთის" წინააღმდეგ „იბერიას" ვახტანგ კოპალეიშვილი უთავკაცებს.

ასე რომ, თუ მერაბ ჟორდანიამ არ იუარა, სამტრედიულ კლუბს 18 წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი უხელმძღვანელებს.

დღეს კი წყალტუბოში სათასო მატჩზე „იბერიას" ანატოლი მესიაჩენკო გაიყვანს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# შევარდენმა ბაქოს გადაუფრინა

სულ ახლახან ბაქოში დამთავრდა ბანიშევსკის სახელობის, ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი, რომელსაც ნორჩთა საფეხბურთო სკოლა მასპინძლობდა. ამ უკანასკნელთა გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ ბაქოს „ნეფთჩი", „შრომითი რეზერვები" (ბაქო), აზერბაიჯანის 16 წლამდელთა ნაკრები, „ტორპედო" (მოსკოვი), „მოზირი" (ბელარუსი), „სპორტ-ინტერნატი" (კიევი) და თბილისის „შევარდენის 1982 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდი.

რვა მონაწილე გუნდმა წრიული სისტემით ითამაშა. „შევარდენმა" თავიდან ბოლომდე სტაბილურად გაულო ტურნირი და შემდეგი ანგარიშებით დაამთავრა მატჩები: „შევარდენი" — „ბავშვთა საფეხბურთო სკოლა" 3:3, „შევარდენი" — „მოზირი" 2:1, „შევარდენი" — „სპორტ-ინტერნატი" 0:0, „შევარდენი" — „ნეფთჩი" 6:2, „შევარდენი" — „შრომითი რეზერვები" 1:0, „შევარდენი" — „ტორპედო" 1:1, „შევარდენი" — აზერბაიჯანის ნაკრები 2:2. ჩვენმა ბავშვებმა სულ 13 ქულა დააგროვეს, ერთი ქულით გაასწრეს კიეველებს და ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს.

„შევარდენი" ბაქოში ამ შემადგენლობით გამოდიოდა: მეკარე ბექა გრძელიძე; მცველები: ზურა გვიჩია, ლევან ლეონიძე, ამირან შამოევი, დათო ტორონჯაძე, რამაზ ბოჭორიძე; ნახევარმცველები: ირაკლი ქვარაია, ლაშა ჯაჯანაშვილი, ლაშა ორაგველიძე, ლევან მერაბიშვილი, ალეკო ეთერია; თავდამსხმელები: ვასიკო ხუნაშვილი, ირაკლი ბერიძე, კოკა მორგოშია, გიორგი გიგოშვილი (მთავარი მწვრთნელი თემურ ადუაშვილი, სკოლის დირექტორი ანზორ ჭინჭარაძე).

ტურნირზე საუკეთესო მეკარის პრიზი ბექა გრძელიძემ მოიპოვა, ვასიკო ხუნაშვილი კი საუკეთესო თავდამსხმელი გახდა (ამასთანავე მან ქართველთაგან ყველაზე მეტი — 7 გოლი გაიტანა).

როგორც გამარჯვებული „შევარდენის" მწვრთნელმა, თემურ ადუაშვილმა გვითხრა, იანვარში ბაქოშივე გაიმართება სემიგლაზოვის სახელობის ტურნირი, სადაც კვლავ გამარჯვებას აპირებენ ქართველი შევარდენები.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ჰიდინკი ჭორიკანა არ არის



გუს ჰიდინკი ფეხბურთელებს თითს უქნევს

გუს ჰიდინკი აბობოქრებულია. ამის მიზეზი მარტო პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში შინ, „სანტიაგო ბერნაბეუზე", „რეალის" „სელტასთან" 1:2 მარცხი არ გახლავთ. ჰოლანდიელი სპეციალისტის შეგირდებს ვარსკვლავური ავადმყოფობა გაუმძაფრდათ და მის გადაწყვეტილებებზე სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ პროტესტსა და უკმაყოფილებას.

მაგალითად ესპანეთის ნაკრების მცველი ივან კამპო ავიღოთ, ან იტალიელი კრისტიან პანუჩი, ანაც მწვრთნელის თანამემამულე კლარენს ზეედორფი.

პირველი მადრიდის „რეალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვით ყოფილა შეწუხებული. ივან კამპო მიმდინარე სეზონის დასაწყისში გადავიდა „სამეფო კლუბში" „მალიორკადან" და მოზღვავებული ამბიციებიც თან გაიყოლა, მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა. ყველაფერ ამით აღელვებული მცველიც ადგა და პრესის საშუალებით ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი თავკაცის კრიტიკას მიჰყო ხელი — მშვენიერ ფორმაში ვარ და ჰიდინკი მაინც არ მათამაშებს, რა უნდა ჩემგან, ვერ გავიგეო. ივან კამპომ ისიც თქვა, თუ ასე გაგრძელდა, უკან, „მალიორკაში" დავბრუნდებიო.

— ამ წუთისთვის, კამპო ვერ ირჯება ისე, როგორც მე ვითხოვ მისგან. მას მეტი შრომა და ვარჯიში მართებს, რათა გუნდში მოხვდეს. ეს კი არ უნდა და იმის ნაცვლად, რომ საქმე აკეთოს, სახალხოდ მსჯელობს თავის თითიდან გამოწოვილ პრობლემებზე. რამდენიმე დღის წინ მას შეხვედრა შევთავაზე, რათა პირადულ საუბარში გაგვერკვია საჭირბოროტო საკითხები, მაგრამ არაფერი გამოვიდა, იგი თავს იფასებს — ცხარობდა ჰიდინკი.

რაც შეეხება დანარჩენ „უძღებ შვილებს" — პანუჩის და ზეედორფს — ისინი იმით ყოფილან უკმაყოფილო, რომ ჰიდინკმა „გაბედა" და „სელტასთან" შეხვედრის მსვლელობისას გამოცვალა. „რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ესპანური რადიოს ჟურნალისტთან საუბრისას მათზეც ილაპარაკა.

— ფეხბურთელებმა იციან, ან ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდნენ, ვინ არის გუნდში მთავარი და ვის ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა გასახდელში. „რეალის" ზოგიერთ მოთამაშეს თავი ვარსკვლავი ჰგონია, არადა, ასე არ არის. ახლა რატომღაც უკმაყოფილო ზეედორფი და პანუჩი მადრიდში არ იმყოფებიან — ამხანაგურ მატჩებზე არიან გამოძახებულნი. როგორც კი ისინი ესპანეთში დაბრუნდებიან, სერიოზულად დაველაპარაკები, ოღონდ პირადად და არა პრესის თუ ტელევიზიის საშუალებით. საკუთარ პრობლემებზე სახალხოდ საუბარი უფრო ჭორიკნობას ჰგავს, მე კი ჭორიკანა ნამდვილად არ ვარ.

ნოდარ ძასრაძე

# ხარბი კაცის ამბავი

გერმანელი მეკარე ანდრეას კეპკე ფრანგულ „მარსელში" თავს ცუდად გრძნობდა და ბედის საძიებლად შოტლანდიაში ჩავიდა „გლაზგო რეინჯერსთან" გასარიგებლად. შოტლანდიის პირველობის ლიდერს ამასწინათ კარის დარაჯი ლიონელ შარბონიე დაუშავდა, ამიტომაც 36 წლის გამოცდილი კეპკეს შეძენით ფრიად დაინტერესებული გახლდათ, მაგრამ მოლაპარაკებები შეწყდა. ის რომ, კონტრაქტი არ გაფორმებულა, გლაზგოელთა თქმით, ყველაფერში დამნაშავე გერმანელის ხარბი აგენტია.

— ჩვენ სამჯერ დავსხედით მოლაპარაკების მაგიდასთან და ყოველ ჯერზე ვუსმენდით აგენტს, რომელიც მეტს და მეტს ითხოვდა. ასეთმა გაუმაძღრობამ გარიგება ჩაშალა — განაცხადა „რეინჯერსის" დილერმა დენის როჩმა.

გარიგების ჩაშლა „რეინჯერსისთვის" საგანგებოდ გულდასაწყვეტი იმიტომ იყო, რომ მას სამ მსოფლიოს ჩემპიონატში ნათამაშევი მეკარის „სელტიკის" წინააღმდეგ გაყვანის იმედი ჰქონდა. უძველესი მტრები, „რეინჯერსი" და „სელტიკი" შაბათს უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

„მარსელის" კეპკესთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია და მასში სანტიმს არ ითხოვს.

ამ ფოტოზე მერკოსურის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩის მომენტია აღბეჭდილია. ერთმანეთს პარაგვაული „ოლიმპია" და ბრაზილიური „პალმეირასი" ხვდებოდნენ. მატჩის მსვლელობისას არგენტინელ თანამსაჯ ერნესტო ტაიბის მასპინძელი გულშემატკივრის მიერ ნასროლი ბოთლი მოხვდა თავში. შედეგი — შეხვედრა შეწყდა და ფინალში ბრაზილიელები გავიდნენ



## EURO 2000
## ახალგაზრდული ჩემპიონატი

UNDER-21 Championship

III ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია 1:1 მოლდოვა**

0:1 ლუნგუ (44), 1:1 მილი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ფინეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

VIII ჯგუფი

**მალტა 5:1 მაკედონია**

1:0, 2:0 მალია (12, 36), 3:0 ზახრა (60), 4:0 გალია (68), 4:1 დიმიტროვსკი (72), 5:1 გრიმა (83)

**იუგოსლავია 1:1 ირლანდია**

1:0 ივიჩი (5), 1:1 კილბენი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 5 |
| მალტა | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | 3 |
| მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:9 | 3 |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |

# არ გვინდა!

საფრანგეთში გაოცებისგან პირი დაალეს, როდესაც შეიტყეს, რომ მათი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ ფიფას თანხმობა განუცხადა ნაკრების კონფედერაციათა თასის ივლისში გადატანილ გათამაშებაში მონაწილეობაზე. ამ საკითხზე ლიგის პრეზიდენტმა (საფრანგეთში ჩემპიონატის ფედერაცია კი არა, ლიგა ატარებს) ნოელ ლე გრეტმა ისაუბრა:

— გამორიცხულია კონფედერაციათა თასზე 28 ივლისიდან 8 აგვისტომდე თამაში, რადგან ჩვენი ეროვნული პირველობა სწორედ 28 ივლისს იწყება. სხვა ქვეყნებშიც ადრე დაიწყებენ ჩემპიონატებს, რამეთუ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გაფართოება დამატებით მატჩებს მოიტანს და ყველაფერს კალენდარში ჩატევა სჭირდება.

კონფედერაციათა თასზე საფრანგეთის ნაკრების გამოსვლით ძალიან არის დაინტერესებული ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, რომელმაც შეჯიბრებაში მიპატიჟებულთა უძლიერესი შემადგენლობების თავმოყრისათვის იგი 8-20 იანვრიდან ზაფხულზე გადაიტანა და ეგონა, რომ შესაფერისი დრო შეარჩია.

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ უეფა და ფიფა ერთმანეთს არ ელაპარაკებიან — განაცხადა ლე გრეტმა.

ფრანგული გაზეთის, „ეკიპის" აზრით, სიმონე ბლატერს იმიტომ დაყაბულდა, რომ მრჩეველმა უთხრა ამხელა კაცისთვის უარის მეორედ თქმა არ ეგებისო.

## ფეხბურთის რუკასთან



ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა აჰმეტ პასალიჩმა განაცხადა, ნიგერიელებთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, მომავალ თვეში სარაევოში ამხანაგურად ვითამაშებთო. პასალიჩმა გაზეთ „ოსლობოჟდენიესთვის" მიცემულ ინტერვიუში ბევრ სხვა თემაზეც ისაუბრა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი სწორედ ნიგერიელებთან დეკემბერში თამაშია. იმავე პასალიჩის თქმით, მომავალი წლის დასაწყისში იგი ფიფას ესტუმრება და ბოსნიისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა ნაკრების შეხვედრის შესაძლო ვარიანტებს განიხილავს. ჯერჯერობით საქველმოქმედო შეხვედრა, რომელსაც პირობითად „თამაში მშვიდობისათვის" ეწოდება, 27 აპრილისთვისაა დაგეგმილი სარაევოში. თუ შეხვედრის ჩატარება გადაწყდა რონალდოსა და ზინედინ ზიდანს აუცილებლად მიიწვევენო, დასძინა პასალიჩმა.

შვედეთის საუკეთესო ფეხბურთელად ჟურნალისტებმა შოტლანდიაში გადახვეწილი ჰენრიკ ლარსონი დაასახელეს. გლაზგოს „სელტიკისა" და ქვეყნის ნაკრების დღესდღეობით უპირველესმა თავდამსხმელმა საგრძნობლად აჯობა კონკურენტებს. „ასეთ აღიარებას არ მოველოდი და ტიტულმა ძალიან გამახარა" — განაცხადა სტოკჰოლმში ჩასულმა ლარსონმა, სადაც საზეიმო ცერემონიალზე „ოქროს ბურთი" გადასცეს. ნაკრებში 37-ჯერ ნათამაშევმა ჰენრიკ ლარსონმა ასევე აღნიშნა, მე რომ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდი, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყნის პირველი გუნდის თავკაც ტომი სოდერბერგს, რომელსაც ჩემი მუდამ სჯეროდაო.

ავსტრიის ჩემპიონატის შეხვედრა „შტაირსა" და „ლუშტენაუს" შორის, სამშაბათს რომ უნდა ჩატარებულიყო, დიდთოვლობის გამო მომავალი სამშაბათისთვის გადაიდო. მასპინძელთა „შტაირის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მანამდე კლუბის სტადიონი მოწესრიგდება.

გერმანიის ტელევიზიის ერთ-ერთმა საფეხბურთო გადაცემამ სატელეფონო გამოკითხვა ჩაატარა, რომელსაც ბუნდესლიგის ყველაზე სიმპათიური ფეხბურთელი უნდა გამოევლინა. გამოკითხულთა თხუთმეტმა პროცენტმა (რესპონდენტები კი უმეტესწილად ქალები იყვნენ) ბუნდესლიგის ყველაზე სიმპათიურ ფეხბურთელად ლევერკუზენის „ბაიერის" თავდამსხმელი ულფ კირსტენი დაასახელა. მეორე ადგილზე მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი გავიდა, ხოლო მესამეზე — „ბოხუმის" შუახაზელი მაურიციო გაუდინიო.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშების პირველი წრის შეხვედრა სამშაბათს გაიმართა — დარლინგტონმა 3:2 მოუგო ბარნსლის. ასევე ჩატარდა მეორე წრის კენჭისყრა: პრესტონი — უოლსელი, დარლინგტონი — მანჩესტერ სიტი, სკანტროპი — ბედლინგტონი, კინგსტონიენი — ლუთონ ორიენტი, სულონსი — სტოკი, ფულემი ან ლეი — ჰარტპული, ჰენდონი ან ნოთს ქაუნთი — ვიგენი, ოლდჰემი — ბრენტფორდი, დონკასტერი — რაშდენი ან დაიმონდსი, ლინკოლნი — რანკორნი ან სტივენეჯი, ლუთლინ ჰალთი ან თორქი — ბორნმუტი, ვიკომბი — პლიუმოსი ან კიდერმინსტერი, მესლფილდი ან ელაგი — კემბრიჯი, კარდიფი — ჰედნსფორდი, ეოლვილი ან ვესტ ოკლენდი — ნორთჰემპტონი, რექსჰემი — ენფილდი ან იორკი, ტემვორსი ან ექსტერი — ბრისტოლ როვერსი, სკარბორო ან როშდეილი — ემლი ან როტერჰემი, მენსფილდი — სკანტროპი. მატჩები 4, 5 და 6 დეკემბერსაა დაგეგმილი.

საფრანგეთის ჩემპიონ „ლანსის" კამერუნელმა ლეგიონერმა მარკ ვივიენ ფოემ ვარჯიში განაახლა. ნახევარმცველი გაზაფხულზე ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში" უნდა გადასულიყო, მაგრამ მაშინ ტრანსფერი ფეხბურთელის მძიმე ტრავმის გამო არ შედგა — მაისში აფრიკელმა ფეხი მოიტეხა და მუხლის ჯვარედინი მყესებიც დაიზიანა. გუშინ ფოემ ბოლო ხუთი თვის მანძილზე პირველად ივარჯიშა. „ვეცდები, მალე აღვიდგინო ფორმა. მინდა კვლავ მოვირგო „ლანსის" მაისური" — განუცხადა ფოემ ჟურნალისტებს.

ესპანური „ატლეტიკოს" ბრაზილიელ გამთამაშებელს ჟუნინიოს 29 ნოემბერს „ბარსელონას" წინააღმდეგ თამაშს არავინ უშლის. ბრაზილიელს ბედმა გაუღიმა, წინა ტურში „ვილიარეალთან" შეხვედრის დროს მოედნიდან გაძევება მხოლოდ ერთ თამაშად რომ დაუსვეს. მაშ, ჟუნინიო მხოლოდ „ვალიადოლიდთან" ვერ ითამაშებს. „ძალიან მინდა ტრავმების და გაძევებების ეს საშინელი პერიოდი გადავივიწყო" — თქვა ფეხბურთელმა.

შვედი იოჰან მიალბი, რომელიც სტოკჰოლმის აიკ-ში თამაშობს, გაზეთ „ექსპრესენის" ცნობით შოტლანდიურ „რეინჯერსში" გადადის. შვედეთის ნაკრების წევრს უკვე გაუფორმებია კონტრაქტი და გლაზგოში სამედიცინო შემოწმებას გადის. როგორც ამბობენ 27 წლის მოთამაშის ფასი 16-17 მილიონ კრონს შორისაა. მიალბის ეროვნულ გუნდში რვა მატჩი აქვს ნათამაშევი, რომელთაგან საგანგებოდ თავი ინგლისთან 2:1 გამარჯვების დროს გამოიჩინა. აიკის წარმომადგენლებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს.

ბრაზილიელმა ცენტრალურმა მცველმა ჟულიო სეზარმა ვარჯიში დაიწყო. მან 6 თვის წინ დატოვა 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის დორტმუნდის „ბორუსიას" რიგები, სამშობლოში დაბრუნდა და კარიერა „ბოტაფოგოში" გააგრძელა, მაგრამ სულ მალე მობეზრდა იქაური ატმოსფერო და დორტმუნდს დაუბრუნდა. გერმანული კლუბის თავკაცის მიხაელ სკიბეს თქმით 35 წლის მცველი კარგ სათამაშო ფორმაშია, მაგრამ კონტრაქტის ზოგიერთი წვრილმანი გასარკვევი ყოფილა და ჟულიო სეზარს თამაშის უფლება 24 ნოემბრიდან ექნება.

გერმანიის ფეხბურთის კავშირმა, კონკრეტულად კი ორგანიზაციის სადისციპლინო კომიტეტმა, ბუნდესლიგის კლუბ „ბოხუმის" მეკარე ტომას ერნსტი აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის არ დასაჯა, რადგან ფეხბურთელი კლუბის ექიმმა აცდუნა. სექტემბერში, „კაიზერსლაუტერნთან" 3:2 გამარჯვების შემდეგ, ერნსტი ექიმებმა შეამოწმეს და სისხლში აკრძალულ ნივთიერების — ეფედრინის შემცველობა აღმოუჩინეს. ეს მეორე შემოწმებამაც დაადასტურა. სადისციპლინო კომიტეტმა გამოძიება დაიწყო და აღმოაჩინა, რომ ფეხბურთელი დამნაშავე არ იყო — გუნდის ექიმმა ერნსტისთვის მისაღებ სითხეში ეფედრინი გარია. „ბოხუმი" 48 ათასი დოლარით დააჯარიმეს. თუმცა მოგებულ შეხვედრაში მოპოვებული სამი ქულა შეუნარჩუნეს. კლუბის პრეზიდენტმა ვერნერ ელტეგოერმა განაცხადა, ამას მოველოდი კიდეცო. იმავე სადისციპლინო კომიტეტმა 3 ათასი დოლარით დასაჯა „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელი ოტო რეჰაგელი, რადგან ამ უკანასკნელს დაავიწყდა, რომ ბუნდესლიგის მატჩებში მხოლოდ სამი არაევროკავშირელი ქვეყნის ფეხბურთელის თამაშია დაშვებული. რეჰაგელმა ერთ-ერთ შეხვედრაში არაევროკავშირის ქვეყნების ოთხი წარმომადგენელი გამოიყვანა მოედანზე.

ჰოლანდია 2000 წელს ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირის რამდენიმე შეხვედრა ეინდჰოვენში გაიმართება, ადგილობრივი კლუბის ხელმძღვანელებმა კი გადაწყვიტეს სტადიონ „ფილიპსის" ტევადობა 40 ათასამდე გაზარდონ. „ეინდჰოვენის" წარმომადგენლის თქმით, სტადიონის ტევადობის 26 ათასიდან 40 ათასამდე გაზრდა, ევროპის ჩემპიონატის შეხვედრებით კი არ ყოფილა გამოწვეული, არამედ კლუბის ქომაგთა მომრავლებით. შარშანდელ სეზონში ეინდჰოვენელებს 30 ათასამდე, მარტო აბონემენტის მქონე ქომაგი ჰყოლიათ. ერთი სიტყვით „ფილიპსი" მალე სახეს იცვლის.

# ხსნა კაზინოდან

ევროპის თოთხმეტი წამყვანი კლუბის ხელმძღვანელთა თათბირმა საყურადღებო რამ გადაწყვიტა: უეფას 32 გუნდიანი ჩემპიონთა ლიგის პროექტი მოუწონა.

ეგრეთწოდებული G 14 (GREAT 14) ანუ დიდი 14, ესპანეთის დედაქალაქის, მადრიდის ერთ-ერთ კაზინოში შეიკრიბა და კონტინენტური ფეხბურთის ბოსებს შეუთვალა, რომ შემდგომი ეტაპი ფინანსური საკითხების განხილვას მიეძღვნება. G 14-ის აზრით დაწვრილებითაა განსახილველი სატელევიზიო შემოსავალთა წილის გაყოფა. დათვლამ აჩვენა, რომ ტელეტრანსლაციები დაახლოებით 590 მილიონ დოლარს მოიტანს.

თოთხმეტმა შექმნა ქვეჯგუფი, რომელშიც „მილანის“, „ბაიერნის“, „მარსელის“, „პორტუსა“ და „რეალის“ წარმომადგენლები გაერთიანდნენ. ამ ქვეჯგუფს უეფასთან მუშაობა და თემების ამომწურავად დამუშავება დაევალა.

ჩამოთვლილი ხუთი კლუბის გარდა G 14-ში შედიან „აიაქსი“, „დორტმუნდი“, „ბარსელონა“, „ინტერი“, „იუვენტუსი“, „ლივერპული“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „პარი სენ ჟერმენი“ და „ეინდჰოვენი“.

კაზინოში გამართული სერობა დეკლარაციის მიღებით დასრულდა. მისი მთავარი ფრაზა ასეთია: „კლუბებმა მოიწონეს უეფას მიერ შეთავაზებული ახალი ფორმატი და სპორტული პრინციპები“.

დეკლარაციაში აგრეთვე წერია: „აუცილებელია მოლაპარაკება სატელევიზიო და სხვა უფლებების თაობაზე. ამ მოლაპარაკებათა მიზანი შემოსავლების გაზრდაა“.

G 14-ს ახალი, უფრო სწორად, განახლებული შეჯიბრების დაწყება მომავალ სეზონშივე სურს.

კაზინოშივე შეიქმნა მუდმივმოქმედი და დახურული საგანგებო ჯგუფი, რომლის მდივნად, „რეალის“ პრეზიდენტი ლორენსო სანსი აირჩიეს. ამ ჯგუფს კლუბების უფლებათა დაცვაზე ზრუნვა ექნება მიზნად.

— ჩვენ უეფას პარალელურად არ ვიმოქმედებთ. პირიქით, მასთან მჭიდრო თანამშრომლობა გვსურს. ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ იმუშავებს, შეცილებით კი არავის არაფერს შეეცილება — ბრძანა სანსმა იმ ეჭვთა გასაქარწყლებლად, რომლის მიხედვით მისადმი რწმუნებული ჯგუფი უეფას კრიჭაში უნდა ჩაუდგეს.

თვალშისაცემი გახლდათ, რომ G 14-ის შეხვედრისას სპორტულ მხარეზე არაფერი თქმულა, თუმცა სანსმა დააიმედა საზოგადოებრიობა. „რეალის“ პრეზიდენტმა კონტინენტს აღუთქვა, რომ უახლოეს მომავალში განიხილავენ უეფას როლს სადისციპლინო ჯარიმებისა და სანაკრებო მატჩებისთვის ფეხბურთელთა გათავისუფლების საქმეში.

სპორტული მხარის მნიშვნელოვნებაზე „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა, კარლ ჰაინც რუმენიგემ ისაუბრა. მან აღნიშნა:

— აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ მომავალი შეჯიბრების კალენდარი მის მონაწილეებს ხელს აძლევს. მსჯელობამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ 17 შეხვედრის ჩატარება ყველაზე მართებულია და მომავალ სეზონშივე ასე დაწყება გვსურს. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესპანეთსა და ინგლისს ეროვნულ პირველობებში ოც-ოცი გუნდი ჰყავთ. მოკლედ, ფორმატი მართლაც ყოველმხრივ აწონილი უნდა იყოს. ამიტომაც ჩვენ უეფასთან კონფრონტაცია კი არა, თანამშრომლობა გვარგია და გვწამს, რომ ეს, შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალია.

მომავალ კვირაში, ჟენევაში უეფას წევრი 51 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია — ასოციაციათა ხელმძღვანელებიც იმსჯელებენ ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმატზე, უეფას თასის გაფართოვებასა და თასების თასის გაუქმებაზე, აგრეთვე საფეხბურთო მოვლენათა ევროკავშირის წესებთან დამოკიდებულებაზე.

ჩემპიონთა ლიგის განახლებული ფორმატის საბოლოო ვარიანტს 10 დეკემბერს, იერუსალიმში, უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ელიან, G 14-მა კი მომდევნო თათბირი 18 დეკემბერს კვლავ მადრიდში დანიშნა.

კაზინოდან გამოსულმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეზიდენტმა, მარტინ ედუარდსმა ზოგადად მოიწონა შეხვედრა, თუმცა დაიჩივლა, ხუთი კლუბისგან ჩამოყალიბებულ ქვეჯგუფში ერთი ინგლისური გუნდის წარმომადგენელი მაინც რატომ არ შეიყვანესო.

— მადრიდში გამართული თათბირი ძალიან სასარგებლლო გამოდგა, რადგან G 14-ისთვის ჩვენი სათქმელი გვქონდა — ბრძანა მან.

მეორე ინგლისელი, „ლივერპულის“ წარმომადგენელი, რიკ პერი კი ნაკლებად გახლდათ აღფრთოვანებული. მან კაზინო სხვებზე ერთი საათით ადრე, ლამის სირბილით დატოვა და მომლოდინე ჟურნალისტებს კარს მიღმა ამბებზე ლაკონურად, არა უშავსო, განუცხადა.

ამრიგად, G 14-ის შეხვედრამ, როგორც ჩანს დაასამარა უეფას მოწინააღმდეგე იტალიური ფირმის, „მედია პარტნერზის“ სუპერლიგის პროექტი. აღსანიშნავია, რომ „მედია პარტნერზს“ G 14-ის თათ რის შესახებ ჯერჯერობით არაფერი უთ ვამს.

**ქევინ ფილანი, როი ერი**



REUTERS

ძლიერნი ამა ქვეყნისანი: „მარსელის“ გენერალური დირექტორი ჟან მიშელ რუსიე, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი და მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ლორენსო სანსი თავიანთი კლუბების მომავალ კეთილდღეობაზე ბჭობენ

# უდანაშაულო დამნაშავე

„მილანის“ ვიცე პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ფლორენციელ თანამემამულეებს გამოესარჩლა. მან უეფას მიერ „ფიორენტინას“ ევროგათამაშებიდან გაძევება „ბარბაროსულ აქტად“ მიიჩნია და კონტინენტური ფეხბურთის მმართველებს მწარე-მწარეები შეუთვალა.

„ფიორენტინას“ საკითხს გალიანი მადრიდის კაზინოში, G 14-ის შეკრებაზე გამოეხმაურა. ამ თათბირზე მილანელი ვიცე პრეზიდენტი კოლეგებმა შეიყვანეს საგანგებოდ შექმნილ ჯგუფში, რომელიც კლუბების ინტერესებსა და უფლებებს დაიცავს.

— გაუგებარა, რატომ დაეკისრა „ფიორენტინას“ პასუხისმგებლობა ვიღაცის მიერ მის წინააღმდეგ ჩადენილი საქციელის გამო. ეს ნამდვილი ბარბაროსობაა. აბსურდულია აგრეთვე გამარჯვებულის შეჯიბრებიდან გაძევება, ხოლო დამარცხებულის შემდეგ ეტაპზე გაყვანა. ზოგადად, დასჯის სისტემა რომ არსებობს, ძალიან კარგია, მაგრამ ასეთი დასჯა აუცილებლად ცუდ გაგრძელებას მოიტანს. ადამიანებს წესები იმიტომ შემოაქვთ, რომ ურთიერთობა გაიუმჯობესონ და არამც და არამც გაიუარესონ. ყოველ ამბავს დამოუკიდებელი მიდგომა ჭირდება. „ფიორენტინას“ შემთხვევაში კლუბი უდანაშაულო იყო, ისევე როგორც მისი ქომაგები და ხელმძღვანელები. საბოლოდ, რაც მოხდა, ძალიან დიდი უსამართლობაა — ბრძანა გალიანიმ.

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა დასძინა, რომ G 14-ის საგანგებო ჯგუფს სურვილი აქვს ამიერიდან უეფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომებს დაესწროს:

— ვგონებ, მიუხედავად უდანაშაულობისა „ფიორენტინას“ მაინც უნდა ეგო პასუხი მომხდარზე. დღეს ეს გუნდი ევროშეჯიბრებიდან გაძევებულია, ასეთი რამ კი ნებისმიერს შეიძლება შეემთხვას. ამიტომაც გვსურს, ამიერიდან უეფა-ში ყოველი საქმის გარჩევას დავესწროთ.

შეგახსენებთ, რომ 3 ნოემბერს, ფლორენციის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის მეორე შეხვედრა „ფიორენტინასა“ და შვეიცარიულ „გრასჰოპერს“ შორის იტალიის ქალაქ სალერნოში მიმდინარეობდა, სადაც „ფიორენტინას“ მოძულე სალერნოელმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან მოედანზე ისროლა ფეთქებადი საგანი, რომელმაც თანამსაჯი დააშავა. იმ მომენტისთვის, ორი შეხვედრის ჯამში „ფიორენტინა“ 4:1-ს იგებდა.





REUTERS

რონალდო პატარა თანამემამულეებზეც ზრუნავს და ფეხბურთელებსაც უსაფრთხო თამაშისკენ მოუწოდებს

# დახედეთ R9-ს

**რონალდომ** ამას წინათ რიოში რესტორანი რომ გახსნა და თავისი საყვარელი ნომრის (რომლის გამოც ივან სამორანოს მაისურზე მათემატიკური განტოლების დაწერა მოუწია), ცხრიანის საპატივცემულოდ R9 დაარქვა, უკვე გაუწყეთ. დღეიდან კი ეს სიმბოლო უფრო პოპულარული გახდება — მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი საათების წარმოებით განთქმულ შვეიცარიას ეწვია და მისი სახელობის საათების გამოშვებას ჩაუყარა საფუძველი. ამიერიდან მსურველებს (ვისაც ფინანსური მდგომარეობა უწყობს ხელს), შეუძლიათ სამი სახის R9-ს ფირმის საათი შეიძინონ — პლატინის (35 ათასი დოლარი), ოქროს (21 ათასი) და უბრალოდ ფოლადის, რომელიც „სულ რაღაც“ 3500 დოლარი ღირს.

საათების მწარმოებელ კომპანიასთან მოლაპარაკების დასრულებისთანავე ახალგამომცხვარმა 22 წლის ბიზნესმენმა, ვინც ახლა საკუთარი რესტორნების ქსელის და საათების ფირმის გარდა მილანის „ინტერის“აქციათა პაკეტის მფლობელიცაა, საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

— ჩემი ახალი ბიზნესის მოგებიდან 3 პროცენტი სან კრისტოვაოს (რონალდოს პირველი კლუბი) ფონდში გადაირიცხება, რომლის მთავარი მიზანიც უპატრონო და გაჭირვებული ბრაზილიელი ბიჭუნების დახმარებაა. მჯერა, რომ ეს უმნიშვნელო თანხა მათ ყოფას შეუმსუბუქებს და მეტიც, მიცემს სტიმულს იმისათვის, რომ იცხოვრონ ჯანსაღად და ფეხბურთი ითამაშონ. ბავშვობაში არც მე მილხინდა და ვიცი, რას ნიშნავს, როცა ვინმე დახმარების ხელს გიწვდის. მე ძალიან რთული ცხოვრება მქონდა, ახლა კი ყველაფერი მაქვს რასაც მოვისურვებ, ამიტომაც გადავწყვიტე, გაჭირვებულებს შევება მივცე. ამ წუთას თავს მათ უფროს ძმად ვგრძნობ და მერწმუნეთ, ყოველთვის მათზე ვიფიქრებ და ვიზრუნებ. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი საქმიანობა ერთ ბავშვს მაინც შეუმსუბუქებს უმძიმეს ყოფას.

რონალდო ჟურნალისტებს ამას რომ ეუბნებოდა, თვალები ბავშვურად უბრწყინავდა. მის სიტყვებს გულგრილი არც საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრებილი მედიის წარმომადგენლები დაუტოვებია, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, საუბარი კიდევ ერთ საინტერესო თემაზე — ფეხბურთელის სათამაშო ფორმასა და ბოლო ხანებში შერყეულ ჯანმრთელობაზე გადაეტანათ.

— ამჟამად თავს მშვენივრად ვგრძნობ. მუხლის ტრავმა ისე აღარ მაწუხებს, როგორც რამდენიმე დღის წინ. ვიმედოვნებ, მომავალ კვირას ფლორენციაში უეჭველად ვითამაშებ (22 ნოემბერს „ინტერი“ უპრინციპულეს მატჩში სერია A-ს ლიდერ „ფიორენტინას“ შეხვდება და ყველა ელის რონალდოსა და ბატისტუტას დაპირისპირებას), თუ, რა თქმა უნდა, ტრავმა კვლავ არ გამიმიზეზდა — აღნიშნა ახალგაზრდა ფორვარდმა.

როგორც იცით, ფრანგულმა ჟურნალმა — „ფრანს ფუტბოლმა“ — გამოაქვეყნა იმ 50 ფეხბურთელის სია, რომელთაგან შობის დღესასწაულის წინა დღეებში „ოქროს ბურთის“ მორიგი ლაურეატი გაირკვევა. ამ სიაში, ბუნებრივია, ჩვენი წერილის გმირიც მოხვდა. ჟურნალისტების ბოლო კითხვაც ამ თემას და მისდამი რონალდოს დამოკიდებულებას შეეხებოდა.

— ბევრი ფიქრობს, რომ ამ ჯილდოს ღირსი აღარ ვარ, მაგრამ ყველას თავისი აზრი აქვს და შეუძლია ხმამაღლაც თქვას. პირადად მე უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუ „ოქროს ბურთს“ მომანიჭებენ. დიდი სურვილი მაქვს, კვლავ ყველას ვაჯობო და, ვიმედოვნებ, ასეც იქნება.

ამის შემდეგ რონალდომ მომღიმარი სახით დატოვა პრესკონფერენცია. ისე, მართლაც საინტერესო მატჩი გველის კვირას („ინტერი“ — „ფიორენტინა) და ისიც საკითხავია, ვინ დაეპატრონება წლეულს მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელის ტიტულს.

ერთი სიტყვით, საინტერესო ამბებია მოსალოდნელი და ვისაც მოთმინება დაელია და შესაძლებლობა აქვს, დახედოს ხოლმე R9-ს.

**დავით ქოჩიზირიძე**

# იდიოტების გამო

უეფას მიერ ერთწლიანი ევროდისკვალიფიკაციით დასჯილმა პოლონეთის ჩემპიონატის ლიდერმა, კრაკოვის „ვისლამ“ პროტესტი დაწერა, რადგან განაჩენი მეტისმეტად მკაცრად და უსამართლოდ მიიჩნია.

შეგახსენებთ პოლონელთა დასჯის მიზეზს: ოქტომბერში, უეფას თასზე „ვისლასა“ და იტალიური „პარმას“ დაპირისპირების დროს, კრაკოვის სტადიონის ტრიბუნიდან ნასროლმა მეტალის საგანმა, რომელიც უმეტესობის აზრით დანა იყო, მსუბუქად დააშავა იტალიელი ფეხბურთელი დინო ბაჯო. დანა ბაჯოს თავში მოხვდა და მოთამაშეს მინდვრის კიდესთან მცირე სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

უეფას სანქცია პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ ტომაშ იაგოძინსკიმ ასე განმარტა: „ვისლა“ მომავალი ხუთი სეზონის განმავლობაში გამოტოვებს პირველსავე ევროშეჯიბრებას, რომელში თამაშის უფლებასაც ეროვნულ ჩემპიონატში დაკავებული ადგილის მიხედვით მოიპოვებს.

— ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა უეფას გადაწყვეტილება შევაცვლევინოთ — განუცხადა პოლონელ ტელეჟურნალისტებს „ვისლას“ პრეზიდენტმა ლუდვიკ მიეტამიკოლაიევიჩმა — სანქცია მეტისმეტად მკაცრია. კლუბი კლუბია და მის პატრონებს ვიღაც იდიოტის საქციელის გამო პასუხისმგებლობა არ უნდა თხოვდნენ.

უეფას სასჯელის გამო პოლონურ საკლუბო ფეხბურთში მართლაც საჩოთირო მდგომარეობა იქმნება. „ვისლა“, რომელიც „პარმამ“ უეფას თასის გათამაშებიდან გამოთიშა, ეროვნულ პირველობას 10 ქულიანი უპირატესობით ლიდერობს და თუ ჩემპიონიც გახდება, ქვეყანას ჩემპიონთა ლიგაში წარმომადგენლის გარეშე დატოვებს.

გასულ უქმეებზე „ვისლამ“ სტუმრად ითამაშა „პოგონთან“. გუნდის თანამგზავრი 50 გულშემატკივარი პოლიციამ საგანგებოდ გაჩხრიკა და აღმოაჩინა, რომ ბევრ მათგანს დანა, გაზის ბალონი თუ ბეისბოლის ტაფელა ედო ჯიბეში. ორი ქომაგი დააპატიმრეს კიდეც.

# წავიდა პაპე!

ბოლოს დასასრულიც მოვიდა. შესანიშნავი ფეხბურთელის არანაკლებ შთამბეჭდავი ოცწლიანი კარიერა სამშაბათს, 17 ნოემბერს დასრულდა — 1991 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა ჟან პიერ პაპენმა ფეხბურთიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

— გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ვიგრძენი, რომ ადრე თუ გვიან თამაშისთვის თავი უნდა დამენებებინა. 35 წლის ვარ და თითქმის მთელი ცხოვრება ფეხბურთს შევალიე. დროა, ოჯახსაც მივხედო. ფეხბურთიდან წასვლამ ერთი სიამოვნება მომანიჭა — ახლა გაცილებით მეტი დრო მაქვს ჩემს პატარა ემილისთან სათამაშოდ — განაცხადა პრესკონფერენციაზე პაპენმა.

1998 წლის ზაფხულში ფრანგული ფეხბურთის ოქროს ფურცელი დაიწერა — ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. წლეულსვე, ოღონდ შემოდგომაზე, ფრანგული ფეხბურთის არანაკლებ ბრწყინვალე ფურცელი დასრულდა. 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ფეხბურთს გამოეთხოვა.

— გაზაფხულზე მოუთმენლად ველოდი ნაკრებში მიწვევას. თავს არ ვზოგავდი, მინდოდა, ჟაკეს შევემჩნიე, მაგრამ გამოძახების ლოდინი უსასრულო ჩანდა. მერე ნაკრების წევრებიც დასახელდნენ და მივხვდი, რომ ქვეყნის პირველ გუნდში ჩემთვის ადგილი არ იყო. ძალიან დამწყდა გული — ჟან პიერ პაპენმა გულისწადილი მხოლოდ ახლა, მსოფლიო ჩემპიონობის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაანდო ხალხს.

ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთხელ, 1986 წელს მექსიკაში იასპარეზა. მაშინ ოკეანისგაღმა მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ეგონა, მომავალ ტურნირებზე მეტს მიაღწევდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, არა მარტო მას, არამედ მთელ საფრანგეთსაც — მსოფლიოს ჩემპიონატის დამაარსებლებმა 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ვერ შეძლეს.

თუ პაპენს ნაკრებში არ უმართლებდა, სამაგიეროდ, ბრწყინავდა საკლუბო დონეზე — ოთხჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, ორჯერ იტალიაში მოიგო პირველობა. 1989-92 წლებში. ზედიზედ ოთხი სეზონის მანძილზე მიეცა პაპენს საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული. ერთხელ ევროპის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელისთვის განკუთვნილი „ოქროს ბუციც“ მიიღო. საერთო ჯამში პაპენმა 584 შეხვედრაში 326 გოლი შეაგდო და თან ყველა მათგანი უმაღლეს დონეზე.

ევროთასები პაპენის აქილევსის ქუსლი გახლდათ — 1991 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში პაპენის „ოლიმპიკი“ „ცრვენა ზვეზდამ“ დაამარცხა. მეორედ, „მილანში“ თამაშისას ჩემპიონთა თასის ფინალში „მარსელისგან“ დამარცხდა. მესამედ პაპენმა გაიხარა — 1994 წელს „მილანმა“ ფინალში „ბარსელონა“ გაანადგურა 4:0. კიდევ ერთი ევროთასი რომელსაც პაპენი შესწვდა, ეს უეფას თასი გახლდათ — 1998 წელს მან გათამაშება „ბაიერნში“ ყოფნისას მოიგო.



შან პიერ პაპენი

დაიბადა 1963 წლის 5 ნოემბერს საფრანგეთის ქალაქ ბულიონ სიე მერში.
თამაშობდა შემდეგ კლუბებში: 1981-84 „ვიში“ (საფრანგეთი), 1984-85 „ვალენსიენი“ (საფრანგეთი), 1985-86 „ბრიუგე“ (ბელგია), 1986-92 „მარსელი“ (საფრანგეთი), 1992-94 „მილანი“ (იტალია), 1994-96 „ბაიერნი“ (გერმანია), 1996-98 „ბორდო“ (საფრანგეთი), 1998 „გინგამი“ (საფრანგეთი)
ტიტულები: საფრანგეთის ჩემპიონი — 1989, 90, 91, 92; საფრანგეთის თასი — 1989; ბელგიის თასი — 1986; იტალიის ჩემპიონი — 1993, 94; ჩემპიონთა თასი — 1994, უეფას თასი — 1996, ევროპის სუპერთასი — 1994, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1986



მარსელელი პაპენი

ნაკრებში დაბრუნებაზე ოცნებობდა და ამიტომ ისევ სამშობლოს მიაშურა. „ბორდოში“ ორი სეზონი დაჰყო, კარგად თამაშობდა. ორჯერ გავიდა ქვეყნის ლიგის თასის ფინალში, ორჯერვე დამარცხდა მისი „ბორდო“. ჟაკემ არ მიიწვია და ჟან-პიერიც მიხვდა, რომ დრო იყო, დიდ ფეხბურთს გამომშვიდობებოდა.

წლეულს, ახალი სეზონის დასაწყისში, იგი ქვედა დივიზიონში გადასულ „გინგამში“ გადავიდა, სამ თვეში კი საერთოდ გამოეთხოვა ფეხბურთს.

— პაპენ-ფეხბურთელს თქვენ ვეღარ იხილავთ, რადგან მან ყველაფერი ნახა და გამარჯვების ბევრი სიხარული იგემა. სამაგიეროდ, შეიძლება პაპენ-მწვრთნელს შეხვდეთ. მას ამ სფეროში ჯერ არაფერი გაუკეთებია. რაც არ უნდა მოხდეს, პაპენი უფეხბურთოდ ერთი დღეც არ იქნება — განაცხადა ერთ დროს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა ჟან პიერ პაპენმა და პრესკონფერენცია დაასრულა.

პაპენი მწვრთნელი? ეგებ ამასაც მოვესწროთ.

**ირაკლი ილაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIV ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| ანტრახტი — ვერდერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შალკე — დუისბურგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 21 ნოემბერი | | | |
| ნიურნბერგი — ვოლფსბურგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ბოხუმი — ლევერკუზენი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჰერტა — ბაიერნი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| კაიზერსლაუტერნი — დორტმუნდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შტუტგარტი — ჰანზა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მიუნხენ 1860 — ჰამბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 22 ნოემბერი | | | |
| მიონხენგლადბახი — ფრაიბურგი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| **გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XV ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| ობერჰაუზენი — გიუტერსლო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ფორტუნა — კოტბუსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ვატენშაიდი — კიოლნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ურდინგენი — მაინცი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დიუსელდორფი — ზტ. პაული | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 22 ნოემბერი | | | |
| ფიურტი — უნტერჰახინგი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| კიკერსი — ულმი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბერლინი — ჰანოვერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23 ნოემბერი | | | |
| არმინია — კარლსრუე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIV ტური** | | | |
| 21 ნოემბერი | | | |
| ასტონ ვილა — ლივერპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბლექბერნი — საუთჰემპტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლიდსი — ჩარლტონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლესტერი — ჩელსი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| მიდლსბრო — ქოვენთრი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| შეფილდ უენსდეი — მანჩესტერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტოტენჰემი — ნოტინგემი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| უიმბლდონი — არსენალი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 22 ნოემბერი | | | |
| დერბი — ვესტ ჰემი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 23 ნოემბერი | | | |
| ევერტონი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XX ტური** | | | |
| 21 ნოემბერი | | | |
| ბრისტოლი — სტოკპორტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბერი — გრიმსბი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ჰადერსფილდი — ბრედფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| იფსვიჩი — ბოლტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ოქსფორდი — პორტ ვეილი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ქუინზ პარკი — შეფილდ იუნაიტედი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სანდერლენდი — ბარნსლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სვინდონი — კრისტალ პალასი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ტრანმერი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უოტფორდი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22 ნოემბერი | | | |
| ვულვერჰემპტონი — ბირმინგემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| სოშო — სტრასბური | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლანსი — ბასტია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| პსჟ — რენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ნანტი — მონპელიე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ოსერი — მეცი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლორიანი — ტულუზი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნანსი — ლე ავრი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| **იტალიის ჩემპიონატი. სერია A. X ტური** | | | |
| 21 ნოემბერი | | | |
| ბოლონია — პერუჯა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| კალიარი — პარმა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| რომა — ბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22 ნოემბერი | | | |
| ფიორენტინა — ინტერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| იუვენტუსი — ემპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მილანი — ლაციო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სალერნიტანა — ვენეცია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სამპდორია — ვიჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| უდინეზე — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| **იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XI ტური** | | | |
| 21 ნოემბერი | | | |
| ნაპოლი — ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 22 ნოემბერი | | | |
| ატალანტა — კოზენცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| კრემონეზე — ტერნანა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ლეჩე — ჩეზენა | 1,3 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| პესკარა — მონცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| რავენა — კიევო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| რეჯანა — ტორინო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| რეჯინა — ბრეშა | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| ტრევიზო — ლუკეზე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვერონა — ფ. ანდრია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XI ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| ტენერიფე — ბილბაო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 21 ნოემბერი | | | |
| ატლეტიკო — ვალიადოლიდი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| მალიორკა — ბარსელონა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ოვიედო — ბეტისი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სოსიედადი — სარაგოსა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ვალენსია — რეალი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ალავესი — სელტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 22 ნოემბერი | | | |
| დეპორტივო — ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ესპანიოლი — რასინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სალამანკა — ესტრემადურა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XIII ტური** | | | |
| 21 ნოემბერი | | | |
| ლეიდა — რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ოსასუნა — ერკულესი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 22 ნოემბერი | | | |
| ბადახოსი — ბარსელონა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლეგანესი — ალბასეტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მერიდა — ტოლედო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეკრეატივო — ეიბარი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ორენსე — სპორტინგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სევილია — ლას პალმასი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| კომპოსტელა — მალიორკა B | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ნუმანსია — ატლეტიკო B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მალაგა — ლოგრონიესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **პორტუგალიის ჩემპიონატი. XII ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| გიმარაეში — რიუ ავე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 21 ნოემბერი | | | |
| პორტუ — ბენფიკა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბრაგა — სეტუბალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 22 ნოემბერი | | | |
| სალგეირუში — შავეში | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ფარენსე — კამპომაიორენსე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლეირია — აკადემიკა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| მარიტიმუ — ბეირა მარი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბოავიშტა — სპორტინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ალვერკა — ამდორა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| მაასტრიხტი — ნაიმეგენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 21 ნოემბერი | | | |
| ფეიენოორდი — კამბური | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| გრააფსხაპი — ჰერენვენი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ბრედა — სიტარდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| როდა — ვიტესი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტვენტე — ტილბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 22 ნოემბერი | | | |
| ეინდჰოვენი — უტრეხტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ვალვაიკი — აიაქსი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| სპარტა — ალკმაარი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **ბელგიის ჩემპიონატი. XV ტური** | | | |
| 21 ნოემბერი | | | |
| ოსტენდე — ლოკერენი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| სტანდარდი — ჰარელბეკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| გენტი — ანდერლეხტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| გენკი — ლომელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| შარლერუა — ეკერენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბევერენი — ბრიუგე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| მუსკრონი — ვესტერლო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 22 ნოემბერი | | | |
| კორტრაიკი — სტ. ტრუიდენი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| აალსტი — ლიერსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| **თურქეთის ჩემპიონატი. XIII ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| ალთაი — ფენერბაჩე | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| 21 ნოემბერი | | | |
| საქარია — გალათასარაი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| ქოჯაელი — ისთანბული | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დარდანელი — ტრაბზონი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 22 ნოემბერი | | | |
| ბეშიქთაში — ქარაბუქი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ანთალია — ადანა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბურსა — ერზურუმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ანკარა — სამსუნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| **შოტლანდიის ჩემპიონატი. XV ტური** | | | |
| 21 ნოემბერი | | | |
| აბერდინი — სტ. ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სელტიკი — რეინჯერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჰარტსი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კილმარნოკი — მოზერველი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 22 ნოემბერი | | | |
| დანდი იუნაიტედი — დანდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **ავსტრიის ჩემპიონატი. XVIII ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| შტურმი — ტიროლი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 21 ნოემბერი | | | |
| ლუსტენაუ — გრაცერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| რიდი — რაპიდი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| შტაირი — ზალცბურგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 22 ნოემბერი | | | |
| აუსტრია — ლინცერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **შვეიცარიის ჩემპიონატი. XIX ტური** | | | |
| 20 ნოემბერი | | | |
| იანგ ბოისი — ციურიხი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 21 ნოემბერი | | | |
| გრასჰოპერი — ბაზელი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 22 ნოემბერი | | | |
| სიონი — ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლოზანა — სერვეტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სენტ გალენი — ქსამაქსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლუგანო — აარაუ | 1,6 | 3,2 | 5,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ქართველები საბჭოთა ნაკრებში



12

# სლავა მეტრეველი

# ბრწყინვალე მარჯვენა გარემარბი

ალბათ, იმასაც მნიშვნელობა აქვს, რითი იწყება შენი გულშემატკივრობა, ვის ხედავ მოედანზე, როდესაც გულში ფეხბურთის სიყვარული ჩაგივარდება, რადგან ბავშვობის შთაბეჭდილებანი ხომ ყველაზე ძლიერია და მთელი ცხოვრება გაგყვება. ამიტომაც ბედნიერებაა, როცა შენი პირველი აღქმა ფეხბურთისა შენი საყვარელი გუნდის აღმავლობას ემთხვევა და მოედანზეც ისეთი ვარსკვლავები გხვდება, რომელიც სამუდამოდ შეგაყვარებს სპორტის ამ ულამაზეს სახეობას. ქართულ ფეხბურთში ასეთები ყოველთვის იყვნენ და გულშემატკივართა ყველა თაობას თავისი კერპები ჰყავდა. ჩემი ფეხბურთის სიყვარული კი უდიდესი მოთამაშეების სლავა მეტრეველის და მიხეილ მესხის, შოთა იამანიძისა და ვლადიმერ ბარქაიას, ზაურ კალოევისა და სერგო კოტრიკაძის, გივი ჩოხელისა და გიორგი სიჭინავას თაობით ჩამოყალიბდა და გასაგებია, როგორი ფეხბურთის გულშემატკივრად ვიქცეოდი.

და მაინც, მიუხედავად ამდენი შესანიშნავი ოსტატისა, მაინც ყველა დამეთანხმება, რომ ერთდროულად ორი ასეთი დონის თავდამსხმელი, როგორიც 60-იან წლებში თბილისის „დინამოს" ორი უდიდესი „ფრთა" იყო — სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი. ბევრ გუნდს არ ღირსებია. ქართული ფეხბურთის ამ ორი დიდოსტატის ერთად ყოფნამ იმ დროისთვის უდიდესი წარმატება, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, მოუტანა. საბჭოთა კავშირის ნაკრებს კი დღემდე (თუ მის მემკვიდრედ რუსეთის ნაკრებს მივიჩნევთ) ყველაზე დიდი წარმატება — ევროპის ჩემპიონის ტიტული.

სლავა მეტრეველი ზღვისპირა ქალაქ სოჭში დაიბადა და ნიჭიერი მოთამაშე მალევე მოხვდა სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში. იგი ჯერ გორკის „ტორპედოში" აღმოჩნდა, ოცი წლისა კი უკვე მოსკოვის „ტორპედოში". იმ დროის მოსკოვის ტორპედო" უმაღლესი კლასის ოსტატებით გამოირჩეოდა: ვალენტინ ივანოვი, ბორის ბატანოვი, ვალერი ვორონინი, ვიქტორ შუსტიკოვი და სხვები, და რუსეთის გუნდებში ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა. ამიტომაც იყო, რომ მოსკოვის სხვა გუნდებთან შედარებით ყველაზე უფრო დიდი პატივისცემით ქართველი გულშემატკივარი „ტორპედოს" უყურებდა და მასთან თბილისის „დინამოს" შეხვედრებს უფრო ნაღდი საფეხბურთო ინტერესი ჰქონდა, ვიდრე სხვა, ეროვნული თუ პოლიტიკური მოტივით განპირობებული.

სლავა მეტრეველი მალევე იქცა მოსკოვის „ტორპედოს" ერთ-ერთ ლიდერად და ნაკრებშიც მალევე მოხვდა. მარჯვენა გარემარბის ადგილი კარგა ხნით აღმოჩნდა მის მიერ დაბევებული. ცოტა ხანში მარცხენა ფრთაზე მასზე ერთი წლით უმცროსი მიხეილ მესხიც გამოჩნდა და ამ უსწრაფესი ფრთებით საბჭოთა ნაკრებმა მალევე მოიპოვა წარმატებები და დიდად განაპირობა ევროპის პირველ ჩემპიონატში გამარჯვება. იუგოსლაველებთან ფინალური მატჩი ხომ სწორედ მათ მოიგეს, პირველი გოლი სლავამ გაიტანა, მეორე კი მიშა მესხის ჩინებული პასით ვიქტორ პონედელნიკმა.

მეტრეველი მაშინვე აღიარეს ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ. ბევრი უთქვამთ მისი და მიშას შესანიშნავი თამაშის შესახებ არგენტინის ნაკრებთან ბუენოს აირესში 1961 წლის მატჩის წინ. არგენტინულ პრესაში, როგორც ამბობენ, არგენიტნელთა საუკეთესო მოთამაშეების პროგნოზები გამოქვეყნდა. მათმა უძლიერესმა თავდამსხმელმა სანფილიპომ 4:1 იწინასწარმეტყველა თავისი გუნდის სასარგებლოდ. მცველმა სიმეონემ კი შეუსწორა. ჩვენ გოლის გამშვები არა ვართო. რაც მეტრეველმა და მესხმა არგენტინელ მცველებს დღე აყარეს, დღესაც ახსოვთ სტაჟიან არგენტინელ გულშემატკივრებს. სტადიონი, სადაც უნახავთ დი სტეფანოს, სივორის, ანჯელილოს, მისხიოს და სხვათა თამაშები. აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს ქართველ გარემარბებს. მატჩის შემდეგ კი გულშემატკივრები გამოეკიდნენ სლავას და მიშას, მათი მაისურები ნაკუწებად აქციეს და შინ სუვენირებად წაიღეს.

არასოდეს არ ჰყოლია თბილისის „დინამოს" ისეთი სახელგანთქმული დებიუტანტი, როგორიც 1963 წლის სეზონში ჰყავდა. სლავა მეტრეველი თბილისის „დინამოში" გადმოვიდა. მახსოვს ის აჟიოტაჟი, რომელიც ამ გადმოსვლის დროს იყო. უკვე იანვარში გულშემატკივრები მოსალოდნელი საფეხბურთო სპექტაკლებით წინასწარ ტკბებოდნენ. ისეთი ჭორიც არსებობდა, რომ საფეხბურთო კალენდარში, რომელზეც თბილისის „დინამოს" გუნდი იყო გამოსახული, ჯერ კიდევ თბილისში ჩამოუსვლელი მეტრეველის თავი თბილისელთა სათადარიგო მოთამაშის ტანს მიამაგრეს, რომ ფოტოსურათზე სლავა უკვე „დინამოს" ფორმაში ყოფილიყო გამოსახული.

მახსოვს, სეზონის პირველი მატჩიც. სლავამ ბურთი მიიღო მარჯვენა ფრთაზე, ცენტრიდან ოდნავ გადაცილებულმა და ხალხით გაჭედილი ტრიბუნები გაინაბა. პატარა პაუზა, სლავა უცებ მოწყდა ადგილს და დაიწყო თავისი დაუვიწყარი დრიბლინგი. ისეთი, როგორიც მარტო მას შეეძლო. სპრინტერული სისწრაფით მეტოქის კარისკენ მქროლავი მეტრეველი ბურთს ისე რბილად ეხებოდა, თითქოს ეფერებაო და გულშემატკივრებსაც ერთნაირად აღმოხდათ აღტაცების ყიჟინა.



სლავა მეტრეველმა ერთი მცველი ჩამოიტოვა და მეორის გაცურებასაც აპირებს

1964 წელს „დინამოში" გავრილ კაჩალინი მოვიდა, სწორედ ის, ვისი ხელმძღვანელობითაც მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონობა. კაჩალინმა სიურპრიზი შესთავაზა მეტოქეებს, ტიპიური გარემარბი მეტრეველი ცენტრში მარცხნივ გადაიყვანა და მესხს შეუწყვილა. მისი ადგილი კი ილია დათუნაშვილმა ჩაიბარა. აქაც გამოჩნდა სლავას უდიდესი საფეხბურთო დიაპაზონი. მან ბრწყინვალედ ითამაშა ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე. მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთა მუდამ მცველებით იყო დახვავებული. არ გინდა ერთდროულად ერთ ფრთაზე ორ ასეთ ვირტუოზს გაუმკლავდე? ვერც გაუმკლავდნენ და თბილისის „დინამომ" თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა.

სლავას „დინამოში" გადმოსვლას საკავშირო ფედერაციიდანაც მოჰყვა პასუხი. იგი ევროპის 1964 წლის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ არ წაიყვანეს. ახლა ბევრი აღნიშნავს, რომ რუსი მწვრთნელები არც ისე ცუდი დამოკიდებულების გამოირჩეოდნენ ქართველი ფეხბურთელებისადმი. როგორი აზრიც იყო მათ მიმართ, მაგრამ აქ საქმე მწვრთნელებსა და ფეხბურთელების დამოკიდებულებას არ ეხება, ნაკრების საკითხი უფრო ზევით, უმაღლეს საფეხბურთო ეშელონებში წყდებოდა და არა ქართველთა სასარგებლოდ. აბა, რითი უნდა აიხსნას, რომ როცა სლავა მეტრეველი მოსკოვის „ტორპედოში" გამოდიოდა, მის ნაკრებში უთამაშებლობაზე ლაპარაკიც არ იყო, „დინამოში" გადმოსვლის შემდეგ კი 1964 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურმა ეტაპმა მის გარეშე ჩაიარა. რასაკვირველია, იქ მიშა მესხიც არ იყო და დანიის ძალიან სუსტ (მაშინ დანიას საერთოდ არავინ აგდებდა სათვალავში) გუნდთან გამარჯვების შემდეგ. საბჭოთა ნაკრები ფინალში ესპანელებთან დამარცხდა 1:2. სლავამ და მიშამ კი „დინამოს" შემადგენლობაში დაამტკიცეს, რაც შეეძლოთ. „დინამომ" პირველად გაიმარჯვა საკავშირო პირველობაზე.

შემდეგ წელს საბჭოთა გუნდები პირველად უნდა გასულიყვნენ ევროპის საკლუბო ტურნირებზე, მაგრამ რადგან ჩემპიონი თბილისის „დინამო" გახდა, ევროპაში არ გაუშვეს და მხოლოდ თასების მფლობელთა თასზე კიევის „დინამოს" მონაწილეობით დაკმაყოფილდნენ: ვითომ დებიუტანტები ვართ და ჯერ თასების თასი დავაჭაშნიკოთო.

რადგან ევროპის საკლუბო ტურნირებისკენ გზა დახშულიყო, საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად ისევ საბჭოთა კავშირის ნაკრები რჩებოდა და სლავამაც ბევრი დაუვიწყარი მატჩი ითამაშა მის შემადგენლობაში. თუნდაც მატჩი ბრაზილიელებთან რიო დე ჟანეიროში, როცა 0:2 სლავას შესანიშნავი თამაშის წყალობით საბჭოთა ნაკრებმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება. 1966 წელს ინგლისში მეტრეველი კვლავ ნაკრების შემადგენლობაშია. მაგრამ სლავა არც პირველ, არც მეორე მატჩში ძირითადში არ დაუყენებიათ. როგორც ნაკრების მწვრთნელის ნიკოლაი მოროზოვის ინტერვიუებიდან ვიგებდით: სლავას ტრავმა აქვს და იმიტომ არ თამაშობსო. სინამდვილეში კი მეტრეველს საამისო არაფერი სჭირდა. საბოლოოდ, ინგლისში მეტრეველმა მხოლოდ ორი მატჩი ითამაშა: არაფრისმთქმელი — ჩილის ნაკრებთან და მესამე ადგილისთვის პორტუგალიასთან და, ფაქტობრივად, ერთი მატჩით პორტუგალიის წინააღმდეგ (სადაც სლავამ გოლიც გაიტანა) მაინც დაამტკიცა თავისი უმაღლესი ოსტატობა და მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთა რიგებში თავისი ადგილი შეინარჩუნა. ამის დადასტურება კი ის იყო, რომ სლავამ 1968 წელს მსოფლიოს ნაკრებში ითამაშა ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ მსოფლიო ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიც ფრანც ბეკენბაუერი, ფლორიან ალბერტი, ამანსიო, დრაგან ჯაიჩი, ვილი შულცი და სხვები იყვნენ.

სლავა მეტრეველმა კარიერის ბოლომდე შეინარჩუნა საუკეთესო ფორმა. 1970, მექსიკის ჩემპიონატის წელს, 34 წლის მეტრეველმა ბრწყინვალედ დაიწყო სეზონი და კვლავ მოხვდა იმ ფეხბურთელებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრნენ, მაგრამ ნაკრების უფროს მწვრთნელს კაჩალინს კვლავ არ დართეს ნება თავისი სურვილით დაეყენებინა შემადგენლობა მსოფლიო პირველობის მატჩებში. „გვირჩევნია გუნდი გამოვარდეს პირველობიდან, ვიდრე ამდენი ქართველით მიაღწიოს წარმატებასო". იმ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხომ ერთდროულად 6 ქართველ ფეხბურთელს უნდა ესპარეზა. სლავას გარდა გუნდში კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ასათიანი და ნოდია იყვნენ. შედეგად, ნაკრები მეოთხედფინალშივე გამოვარდა გათამაშებიდან. მეტრეველს კი არც ერთხელ არ მისცეს თავის გამოჩენის საშუალება თავის მესამე მსოფლიო ჩემპიონატზე.

სლავა მეტრეველმა 48 მატჩი ჩაატარა ნაკრების შემადგენლობაში (გაიტანა 11 გოლი). გაცილებით [illegible] უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ რას იზამ, რაც დააკლეს, თავის თავს დააკლეს. ჩვენ კი თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები დიდ ხანს ვტკბებოდით სლავას უზადო ოსტატობით.

მახსოვს, იმდროინდელი თბილისის „დინამოს" გამოსვლებისას რა ლაპარაკი იყო მატჩის დასაწყისში ტრიბუნებზე: ნეტავ, მალე გაგვიტანოს მეტოქემ გოლი, რომ ჩვენებმა მთელი ძალით თამაში დაიწყონო და ასეც იყო. დაწინაურებულ მოწინააღმდეგეს ისეთი რისხვა ატყდებოდა თავს, რომ იქიდან გამოძრომა ძნელად თუ იყო შესაძლებელი. მესხი და მეტრეველი, ბარქაია და დათუნაშვილი, იამანიძით და გიორგი სიჭინავათი ზურგგამაგრებულნი საშინელ დღეს აყრიდნენ მეტოქის დაცვასა და ამ შეტევათა სულისჩამდგმელი, რა თქმა უნდა, სლავაც იყო.

სლავა მეტრეველს ყველაფერი ის ახასიათებდა, რომელიც აქვს დიდ ოსტატს. ფანტასტიური სისწრაფე, ვირტუოზული ტექნიკა, მოედნის შესანიშნავი ხედვა. უმაღლეს ტექნიკურ ილეთებს საოცარი სიმსუბუქით ასრულებდა. ფართო იყო მისი სათამაშო დიაპაზონიც. მიხეილ მესხისგან განსხვავებით, რომლის სამოქმედო არე „მისი" მარცხენა ფრთა იყო, სლავას უკან ჩამოსულსაც ნახავდით. საჯარიმოში ცენტრიდან შეჭრილსაც და მეორე ფრთაზე გადასულსაც. სლავას პასი ყოველთვის გამოზომილი იყო, დარტყმა კი... მე არასოდეს მინახავს, მას ალალბედზე დაერტყას კარში. იგი ყოველთვის ინარჩუნებდა „ცივ" გონებას და ამიტომაც მისი გადაწყვეტილებები ყოველთვის სწორი იყო. კარში დარტყმა კი ყველანაირი პოზიციიდან შეეძლო: მაკრატელათი, შემობრუნებით, საჯარიმო ხაზის გარედან თუ მახვილი კუთხით. ამასთან ყველაფერს გასაოცარი სილამაზით ასრულებდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანებიც: დაბალ კუთხეში როდესაც ბურთი კარში შესვლამდე ძელს გაუცაცუნებდა ხოლმე.

დღეს 19 ნოემბერია. 34 წლის წინ, გუშინდელ დღეს, ტაშკენტში ქართულმა ფეხბურთმა პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა, თბილისის „დინამოს" მაშინდელი შემადგენლობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა დ ფეხბურთის ქართველ ოსტატებს, რომლებიც არც მანამდე აკლდა ჩვენს ფეხბურთს, გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩაუნერგა. სწორედ მაშინ დაედო საფუძველი „დინამოს" სვლას ევროპული ფეხბურთის მწვერვალებისკენ, რაც თასების თასის მოპოვებით დაგვირგვინდა.

ახლა ქართულ ფეხბურთს, ისევე როგორც ყველაფერს უჭირს, მაგრამ როგორც ყველაფერს, ალბათ, გაჭირვებასაც ოდესმე ექნება თავისი დასასრული და ჩვენი ფეხბურთიც გაიკვალავს გზას საერთაშორისო წარმატებისკენ. მაგრამ, ალბათ, მაინც მოსანატრებელი იქნება შესანიშნავი ოსტატებისგან შემდგარი გუნდი, რომლის ფრთებსაც ორი უდიდესი, მსოფლიო კლასის მოთამაშე ამშვენებდა: მარცხნივ — მიხეილ მესხი და მარჯვნივ — სლავა მეტრეველი.



სლავა მეტრეველი, ანზორ კავაზაშვილი და მიხეილ მესხი ფეხბურთის მეფე პელესთან ერთად

ილია მხეიძე

**661. ჯიმშერ ხალვაში.** ბათუმი. ინჟინერი. 34 წლის. მწვრთნელი 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. შოთა არველაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**662. გიორგი ჯაფარიძე.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. რამაზ შენგელია, 4. სლავა მეტრეველი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა იამანიძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**663. ალექსი შერაზადიშვილი.** გორი. აგრონომი. 64 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**664. გივი ჩოგოვაძე.** ბათუმი. ექიმი. 72 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვიტალი დარასელია, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ბორის ფროლოვი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ჭკუასელი, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**665. ჟორა შენგელია.** სამტრედია. მწვრთნელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვიტალი დარასელია, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: 1. ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობეირძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**666. მერაბ წურწუმია.** ზუგდიდი. ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია, ბორის პაიჭაძე

**667. ამბერკ ტაბიძე.** ხონი. მექანიზატორი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**668. ჟორა შენგელია.** სამტრედია. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**669. ლელა სტურუა.** სამტრედია. 24 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 28 მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**670. ლევან სტურუა.** სამტრედია. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**671. ოთარ ნაცვლიშვილი.** სამტრედია. იურისტი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. ზაურ კალოევი, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ზაურ კალოევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**672. ჟორა ზარქუა.** სამტრედია. დროებით უმუშევარი. 59 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მურთაზ ხურცილავა
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**673. გიო თევზაძე.** სამტრედია. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. მიხეილ მესხი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამაინძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრექელი, მიხეილ მესხი

**674. ალექსანდრე მეფარიძე.** თბილისი. მშენებელ-ინჟინერი. 33 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. გიორგი სიჭინავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**675. ოთარ მუშკუდიანი.** წყალტუბო. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ვიტალი დარასელია, 4. სლავა მეტრეველი, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**676. ნიკა ჭყონიძე.** რუსთავი. მოსწავლე. 10 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. ვიტალი დარასელია, 5. რევაზ ძოძუაშვილი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, შოთა იამანიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი

**677. დავით ჩოჩია.** სენაკი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**678. თამაზ მეტრეველი.** თბილისი. მეცნიერ-თანამშრომელი. 61 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**679. გიორგი ჭუმბურიძე.** თბილისი. მეცნიერ-მუშაკი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**680. ოთარ მენაბდიშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 72 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**681. შალვა გაგოშიძე.** თბილისი. ჰიდროტექნიკოსი. 52 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი 5. ავთანდილ ღოლობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, რევაზ ჩელებაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**682. ციალა ცაგურია.** ბათუმი. პედაგოგი. 59 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ზაურ კალოევი, 4. დავით ყიფიანი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ოთარ გაბელია, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა შავგულიძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**683. ნინო ჭაბაშვილი.** თელავი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**684. გოჩა ქაჩარავა.** ბათუმი. უმუშევარი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, თენგიზ სულაქველიძე, ბორის პაიჭაძე, გიორგი ქინქლაძე, მიხეილ მესხი

**685. ვახტანგ ვეკუა.** სოხუმი. ინჟინერი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**686. ჯონი ტორაძე.** ლტოლვილი აფხაზეთიდან. მეზღვაური. 38 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**687. კაკი რუხაძე.** თბილისი. ინჟინერი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. გაიოზ დარსაძე, 2. სოსო ფილია, 3. შოთა ესებუა
ფეხბურთელი: 1. გაიოზ ჯეჯელავა, 2. ნიაზ ძიაპშპა, 3. გივი ჩოხელი, 4. გივი დიდავა, 5. ჯონი ჯაგიდისი
გუნდი: ირაკლი ზოიძე, ბესიკ ბერაძე, გივი დიდავა, გაიოზ ჯეჯელავა, დიმიტრი კუდინოვი, გელა ინალიშვილი, ნიაზ ძიაპშპა, ჯუანშერ ჯეჯელავა, ჯონი ჯაგიდისი, ზურა ვაჩაძე, გოჩა გოგრიჭიანი

**688. ილო ვაშაკიძე.** სამტრედია. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, ბორირს პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**689. ნია ბიჭიკაშვილი.** კასპი. ეკონომისტი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**690. გურამ ქვარაცხელია.** წალენჯიხა. უმუშევარი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, შოთა არველაძე

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის“ გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის“ გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში“ მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში“ დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულები შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის“ რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 __________
2 __________
3 __________
4 __________
5 __________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 __________
2 __________
3 __________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 __________
2 __________
3 __________
4 __________
5 __________
6 __________
7 __________
8 __________
9 __________
10 __________
11 __________

სახელი - - - - - - - - - -
გვარი - - - - - - - - - -
ასაკი - - - - - - - - - -
პროფესია - - - - - - - - - -
მისამართი - - - - - - - - - -

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

EURO BASKET 99

## E ჯგუფი. თურქეთი

შვედეთი(25.11); ლატვია(28.11);საქართველო(2.12);

# თურქებმა ხალხი გაგვიმზადეს

გუშინ თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა ერმან ქუნთერიმ დაასახელა 15 მოთამაშე, რომლებიც მოემზადებიან ევრობასკეტ-99-ის სამი შესარჩევი მატჩისთვის. ორშაბათს ღამით ამ ხალხს სამი კაცი მოაკლდება:

უფუკ სარიჯა, ჰუსეინ ბესოქი, ჰიდაიეთ თურქოღლუ, ნედიმ დალი (ყველა — ეფესი), ორჰუნ ენე, ქერიმ თუნჩერი (ორივე — გალათასარაი), იბრაჰიმ ქუთლუაი, თამერ ოიგუჯი (ორივე — ფენერბაჩე), ორჰან გიულერი (დარუშაფაკა), ერდალ ბიბო (ტელეკომი), მეჰმეთ ოქური (თოფაში), არდა ვექილოღლუ (ქარშიაქა), ჰარუნ ერდენაი, ჰალუკ ილდირიმი (ორივე — ულქერი), მირსად თურქჯანი (უგუნდო).

## საპორტას თასი. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 17-18 ნოემბერი

### A ჯგუფი

ეშტრელა (პორტუგალია) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 94:84; სონი (იტალია) — ატლეტასი (ლიტვა) 82:62; პოლზელა (სლოვენია) — კალევი (ესტონეთი) 78:63

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კალევი | 8 | 5 | 3 | 601:547 | 13 |
| სონი | 8 | 5 | 3 | 592:549 | 13 |
| პოლზელა | 8 | 5 | 3 | 550:552 | 13 |
| ეშტრელა | 8 | 4 | 4 | 583:592 | 12 |
| ატლეტასი | 8 | 3 | 5 | 561:600 | 11 |
| ჩერნო მორე | 8 | 2 | 6 | 608:655 | 10 |

IX ტური. 8.12: კალევი A — ჩერნო მორე, სონი — ეშტრელა, ატლეტასი — პოლზელა

### B ჯგუფი

შოლე (საფრანგეთი) — ტელეკომი (თურქეთი) 79:65; სპლიტი (ხორვატია) — მლეკარნა (ჩეხეთი) 97:70; მზტ (მაკედონია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 84:76

სლოვაკოფარმა: ონდრუშკა, კუზნეცოვი (14), მიჩუგა (15), რისტანოვიჩი (17), სირტაუტასი (14), საბო (11), ზადრავეცი (5)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოლე | 8 | 6 | 2 | 645:535 | 14 |
| ტელეკომი | 8 | 5 | 3 | 612:575 | 13 |
| სპლიტი | 8 | 4 | 4 | 644:606 | 12 |
| სლოვაკოფარმა | 8 | 4 | 4 | 589:606 | 12 |
| მზტ | 8 | 3 | 5 | 604:634 | 11 |
| მლეკარნა | 8 | 2 | 6 | 593:731 | 10 |

IX ტური. 8.12: შოლე — მზტ, ტელეკომი — სპლიტი, მლეკარნა — სლოვაკოფარმა

### C ჯგუფი

ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — პამესა (ესპანეთი) 71:78; სენტ პიოლტენი (ავსტრია) — ჰაპოელი (ეილათი, ისრაელი) 93:72; ცეპტერი (პოლონეთი) — ბროცენი (ლატვია) 76:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 8 | 8 | 0 | 649:553 | 16 |
| ცეპტერი | 8 | 5 | 3 | 583:552 | 13 |
| ბუდუჩნოსტი | 8 | 4 | 4 | 596:616 | 12 |
| ბროცენი | 8 | 3 | 5 | 638:659 | 11 |
| სენტ პიოლტენი | 8 | 2 | 6 | 556:596 | 10 |
| ჰაპოელი | 8 | 2 | 6 | 630:676 | 10 |

IX ტური. 8.12: პამესა — ჰაპოელი, ბუდუჩნოსტი — ცეპტერი. 9.12: სენტ პიოლტენი — ბროცენი

### D ჯგუფი

პივოვარნა (სლოვენია) — ატომერომუ (უნგრეთი) 99:87; პარტიზანი (იუგოსლავია) — აეკ (საბერძნეთი) 87:82; ზაგრები (ხორვატია) — ტოპო (ფინეთი) 73:62

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 8 | 7 | 1 | 679:605 | 15 |
| აეკ | 8 | 6 | 2 | 609:551 | 14 |
| პივოვარნა | 8 | 6 | 2 | 675:643 | 14 |
| ზაგრები | 8 | 3 | 5 | 588:626 | 11 |
| ტოპო | 8 | 1 | 7 | 586:631 | 9 |
| ატომერომუ | 8 | 1 | 7 | 603:684 | 9 |

IX ტური. 8.12: პარტიზანი — პივოვარნა, აეკ — ზაგრები, ატომერომუ — ტოპო

### E ჯგუფი

სტატიბა (ლიტვა) — თოფაში (თურქეთი) 66:78; ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ბოსნა (ბოსნია) 78:67; შარლერუა (ბელგია) — კიორმენდი (უნგრეთი) 95:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თოფაში | 8 | 6 | 2 | 626:509 | 14 |
| ჰაპოელი | 8 | 6 | 2 | 606:539 | 14 |
| შარლერუა | 8 | 5 | 3 | 537:548 | 13 |
| სტატიბა | 8 | 5 | 3 | 610:628 | 13 |
| კიორმენდი | 8 | 2 | 6 | 576:668 | 10 |
| ბოსნა | 8 | 0 | 8 | 517:580 | 8 |

IX ტური. 8.12: თოფაში — ჰაპოელი, სტატიბა — შარლერუა, ბოსნა — კიორმენდი

### F ჯგუფი

ლიმოჟი (საფრანგეთი) — არისი (საბერძნეთი) 73:79; ტრირი (გერმანია) — შიროკი (ბოსნია) 85:65; ანტვერპენი (ბელგია) — პლანია (შვედეთი) 75:88

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არისი | 8 | 7 | 1 | 652:507 | 15 |
| ლიმოჟი | 8 | 5 | 3 | 586:534 | 13 |
| ანტვერპენი | 8 | 5 | 3 | 601:609 | 13 |
| ტრირი | 8 | 4 | 4 | 589:607 | 12 |
| პლანია | 8 | 2 | 6 | 590:639 | 10 |
| შიროკი | 8 | 1 | 7 | 516:638 | 9 |

IX ტური. 8.12: არისი — ტრირი, ლიმოჟი — ანტვერპენი, შიროკი — პლამია

### G ჯგუფი

ულმი (გერმანია) — ვენტსპილსი (ლატვია) 96:95; მაზოვეანკა (პოლონეთი) — აპოელი (კვიპროსი) 60:63; სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — ხუვენტუდი (ესპანეთი) 66:95

სპარტაკი: ასტახოვი (11), ასტანინი (1), ჩაპლიგინი (1), დიომინი (2), ფილიპოვი (11), კონდრატოვი (21), პოტაპოვი (3), რომანენკო, ვაშაკიძე (10), ვედიშჩევი (6)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხუვენტუდი | 8 | 7 | 1 | 683:580 | 15 |
| ულმი | 8 | 7 | 1 | 653:611 | 15 |
| ვენტსპილსი | 8 | 3 | 5 | 675:649 | 11 |
| მაზოვეანკა | 8 | 3 | 5 | 594:618 | 11 |
| აპოელი | 8 | 2 | 6 | 537:590 | 10 |
| სპარტაკი | 8 | 2 | 6 | 617:711 | 10 |

IX ტური. 8.12: ხუვენტუდი — ულმი, ვენტსპილსი — აპოელი, სპარტაკი — მაზოვეანკა

### H ჯგუფი

ოვარენშე (პორტუგალია) — ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) 77:61; უნიქსი (რუსეთი) — ბენეტონი (იტალია) 76:95; ბიპა მოდა (უკრაინა) — შტალბაუ (ავსტრია) 71:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 8 | 8 | 0 | 666:525 | 16 |
| ოვარენშე | 8 | 4 | 4 | 559:543 | 12 |
| უნიქსი | 8 | 4 | 4 | 593:598 | 12 |
| შტალბაუ | 8 | 3 | 5 | 561:604 | 11 |
| ბიპა მოდა | 8 | 3 | 5 | 522:558 | 11 |
| ჰანს ფერკერკი | 8 | 2 | 6 | 436:509 | 10 |

IX ტური. 8.12: ბენეტონი — ოვარენშე, უნიქსი — ბიპა მოდა, ჰანს ფერკერკი — შტალბაუ



პარტიზანი-აეკ: ვიდაჩიჩმა (მარცხნივ) და ჩუბრილომ ათენელი პაცისი დაიმარტოხელეს

საპორტას თასი

სპარტაკი — ხუვენტუდი

## ვაშაკიძე თავს არ ირცხვენს

წინა ტურში კვიპროსული „აპოელის" ძლევით გუნებაგამოკეთებული ირაკლი ვაშაკიძის მოსკოვის „სპარტაკი" „ხუვენტუდთან" მატჩში თავის აჩრდილსლა ჰგავდა და გვარიანი სხვაობითაც დამარცხდა. ესპანელებთან შეხვედრაში ვაშაკიძემ თავისი ამპლუის კვალობაზე არცთუ ურიგოდ (10 ქულა) ითამაშა, თუმცა ეს ზღვაში წვეთი აღმოჩნდა და G ჯგუფის ლიდერმაც ზედმეტი დაძაბულობის გარეშე გაიყოლა შინ ორი ქულა. ამით მოსკოველთა გათამაშების შემდეგ ეტაპზე გასვლა ერთობ საეჭვო გახდა და მათ მომდევნო თამაშში, პოლონურ „მაზოვეანკასთან" უცილობლად უნდა გაიმარჯვონ. უშუალოდ ესპანელებთან შეხვედრის ვაშაკიძისეული კომენტარი კი ასეთი გახლავთ:

— „ხუვენტუდს" მხოლოდ ათი წუთი გავუძალიანდით, მერე კი იგი მთელი ძალით ამოქმედდა და რაც დაგვმართა, ანგარიშითაც მიხვდებით. პირადად მე თავი ნაღდად არ შემირცხვენია. მატჩის შემდეგ მწვრთნელმაც აღიარა, მოედანზე ერთი კაცი, ვაშაკიძე იყოო.

მეტოქეზე კი კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი — მართლაც საუცხოოდ ითამაშა და ასე თუ განაგრძო, კიდევ შორს წავა.

**— ბოლოხანს კლუბში არსებულ შინააშლილობაზეც წუხდი. ამ მხრივ თუ გამოსწორდა საქმე?**

— ეს პრობლემა მარტო ჩვენ კი არა, ყველა რუსულ კლუბს აწუხებს. ვერ ხედავთ, ამ ქვეყნის გუნდები მატჩს მატჩზე აგებენ. თუნდაც სუპერლიგა აიღეთ. ევროსარბიელზე ასე სუსტად რუსებს არასდროს უთამაშიათ. ეს არცაა გასაკვირი. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ბანკები ფულს ვერ არიგებენ, მოთამაშეები ხელფასს ვერ იღებენ. ერთი სიტყვით, ეს რეალობაა.

**— ახლა ნაკრებზეც გვითხარი. შენ, ალბათ, ისრაელში ჩახვალ.**

— თვრამეტში დილაადრიან უნდა გავფრინდე. ეროვნულ გუნდს ვინგეიტის საწვრთნელ ბაზაზე შევუერთდები და ჩეხებთან თამაშისთვის მოვემზადები.

საპორტას თასი

მზტ — სლოვაკოფარმა

## ბერძენიშვილი მოიწამლა

B ჯგუფის ლიდერებთან, თურქულ „ტელეკომთან" და ფრანგულ „შოლესთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მაკედონიაში ფავორიტად ყველა „სლოვაკოფარმას" მიიჩნევდა. მით უფრო, რომ დავით ბერძენიშვილის გუნდმა მზტ შინაც საკმაოდ იოლად დაამარცხა და ბოლოდროინდელი წარმატებების შემდეგ სატურნირო ცხრილშიც მესამე საფეხურზე დაფუძნდა. თუმცა, ჩვენი მოლოდინის მიუხედავად, „სლოვაკოფარმამ" ზედიზედ მესამე თამაშის მოგება ვეღარ შეძლო, თავისზე გაცილებით სუსტ მეტოქესთან წააგო. თანაც ამ შეხვედრაში არც ქართველ ცენტრს უთამაშია და მიზეზის გასარკვევად ბოლოხანს აღმავლობით მოთამაშე ბერძენიშვილს სკოპიეში რომ შევეხმიანეთ, მისი პასუხი ასეთი იყო:

— თამაშის დღეს შეუძლოდ გავხდი. დილიდანვე სუსტად ვიყავი და დილის ვარჯიშიც გამოვტოვე. მწვრთნელებმა დასვენება მირჩიეს და მეც გადავწყვიტე, ნომერში მომესვენა. როგორც შემდეგ გაირკვა, ამის მიზეზი აქაური საჭმელი ყოფილა. რაღაცამ მაწყინა, თუმცა ახლა უკეთ ვარ და ექიმებმაც დამამშვიდეს, საშიში არაფერიაო.

**— მიუხედავად ამისა, მზტ-სთან არ უნდა წაგეგოთ.**

— გამარჯვებაში დარწმუნებულები ვიყავით და სწორედ ზედმეტმა თავდაჯერებამ დაგვღუპა. თანაც, სლოვაკურ მატჩისგან განსხვავებით, მზტ-მ ძალიან ძლიერად ითამაშა. ამას არც ჩვენ ველოდით და აკი დავისაჯეთ კიდეც.

პირველი ტაიმი თხუთმეტი ქულით დავთმეთ. მეორე ნახევარში კომბინაციური თამაში ავაწყვეთ და ერთხანს წინაც გავედით, მაგრამ შემდეგ გუნდი აირეულდა, არც ლიდერებს წაუვიდათ თამაში, სამაგიეროდ, მეტოქის ამერიკელი ცენტრი ჯონსონი შეუჩერებელი იყო და მატჩის ბედიც მან გადაწყვიტა.

**— დათო, ნაკრები ახლა ისრაელშია შეკრებაზე, ჩეხებთან თამაშისთვის ემზადება. როგორც ადრე გვითხარი, შენ პირდაპირ პრაღაში ჩახვალ. იქნებ შეიცვალა რამე?**

— ნაკრებს ოცდასამში შევუერთდები. სლოვაკეთიდან დილით პრაღას გავფრინდები და გუნდს აეროპორტში დაველოდები.



ჩვენი მკითხველის ძველმა ნაცნობმა, მოსკოვში ავსტრალიის საელჩოს საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელმა ლეონიდ ალტმანმა, თაგვისა არ იყოს, კატა გამოთხარა. გამოთხარა და თურმე შეეწირა კიდეც. ეს გვიამბო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა, რომელსაც იმ უბედური ალტმანის ამბავი რუსეთში ავსტრალიის საელჩოს მეთაურმა აცნობა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ სანკტ-პეტერბურგში, სადაც ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასამბლეა გაიმართა

# ალტმანი ხოფერიას გადააყოლეს




ჯანო ბაგრატიონი

— სანკტ-პეტერბურგმა ასამბლეის მასპინძლობას ღირსეულად გაართვა თავი — გვიამბობს ჯანო ბაგრატიონი — მასპინძლებმა თავი გამოიდეს და სტუმრებს ძალიან ასიამოვნეს.

ასამბლეაზე შეაჯამეს წლევანდელი შედეგები. ძალზე მაღალი შეფასება მისცეს ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებს. მოისმინეს მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ანგარიში. ამ თამაშებმაც დიდი მოწონება დაიმსახურა და მისი მომავალი ერთი თვის მერე ლოზანაში გადაწყდება.

**— ალბათ დოპინგის პრობლემებზეც ისაუბრეს.**

— რა თქმა უნდა, უამისოდ როგორ იქნებოდა. ამ პრობლემაზე მსჯელობა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 30 წლის წინათ დაიწყო. შარშან სოკ-მა ამ საკითხზე დამატებითი ღონისძიებების აუცილებლობაზე მიუთითა და წამოაყენა წინადადება „ერთიანი სამედიცინო კოდექსის" მიღების თაობაზე. გადაწყვეტილია, რომ 2-3 თებერვალს ლოზანაში ჩატარდეს მსოფლიო კონფერენცია, სადაც განიხილავენ „ოლიმპიური მოძრაობის ანტიდოპინგური სააგენტოს" შექმნის შესაძლებლობას.

რაკი დოპინგზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ასამბლეაზე განცხადება დაწერა და გადადგომა ითხოვა ევროპის ეოკ-თა გენმდივანმა მარიო პესკანტემ.

**— აკი მარიო პესკანტეს სასამართლო და დაპატიმრება ელისო. უცხოურმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ მარიო პესკანტე, რომელიც იმავდროულად იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც იყო და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც, თითქოს დოპინგთან დაკავშირებული სკანდალის გამო ამ თანამდებობიდან სხვებთან ერთად გადადგა. ისიც ითქვა, საქმე საციხოდ აქვს და სასამართლო პროცესი 27 ოქტომბერს დაიწყებაო.**

— როგორ გეკადრებათ, პესკანტე არ დაუპატიმრებიათ და, ეტყობა, ეს არც ელის.

**— მაშ რატომ ითხოვა გადადგომა?**

— თქვა, ჩემი სახელი დოპინგთან დაკავშირებით სკანდალში მოიხსენიებოდა და მორალური უფლება არა მაქვს თანამდებობაზე დავრჩეო. პესკანტეს ძალიან გამოექომაგა ევროპის ეოკ-თა პრეზიდენტი ჟაკ როგი, თავად სამარანჩიც. მერე პესკანტეს განცხადებას კენჭი უყარეს და მის დაკმაყოფილებას ერთხმად უარი უთხრეს.

პესკანტეს რამდენიმე წუთით ცალკე შევხვდით და შევახსენეთ, რომ დიდი ხანია მისი მოწვევა გვსურს თბილისში. ეს იმიტომაც გვინდა, რომ პესკანტე საერთაშორისო სპორტულ სამყაროში, და არა მხოლოდ იქ, ძალზე გავლენიანი და ავტორიტეტული კაცია. თბილისში მისი ვიზიტისას შეიძლება ჩვენდამი რაღაც დახმარების გზები დაისახოს. იგი ჩამოსვლას კიდევ ერთხელ დაგვპირდა და, ეტყობა, გაზაფხულზე გვეწვევა.

პესკანტემ ისიც გვითხრა, იტალიის ეოკ-ს მრავალი ქვეყნის შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს დადებული და თბილისში ჩემი ვიზიტისას ამგვარი ხელშეკრულება თქვენთანაც უნდა გავაფორმოთო.

ჩვენთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვეს პოლონეთის ეოკ-ის ხელმძღვანელებმაც. მეტიც, ისინი ფიქრობენ, რომ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეოკ-ები როგორღაც დაჩაგრულები ვართ. ამიტომ ერთმანეთს მხარი უნდა დავუჭიროთო. ერთმანეთს პრობლემები რომ გავუზიარეთ, ისიც ვუთხარით, რომ ჩვენი სპორტსმენებისთვის კანოე გვჭირდება. პოლონეთში არის ქარხანა, რომელთა კარგ კანოებს ამზადებს. პოლონელები დაგვპირდნენ, რომ ამ საქმეში დაგვეხმარებიან. რა თქმა უნდა, ამაში შეღავათიან ფასებში კანოეს შეძენა იგულისხმება.

**— ჩვენთვის კიდევ რით იყო აღსანიშნავი ეს ასამბლეა?**

— სამი ჩვენი წარმომადგენელი გააწევრიანეს ევროპის ეოკ-თა სხვადასხვა კომისიაში. ჩვენი ეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი შეიყვანეს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების კომისიაში, საქართველოს ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი რუსუდან სიხარულიძე — ევროპის ახალგაზრდული თამაშების ჩატარების კომისიაში, სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი თამაზ თევზაძე — ევროკავშირთან ურთიერთობის სამუშაო ჯგუფში.

**— ახლა სიდნეის ოლიმპიური თამაშები გველის და ასამბლეაზე ალბათ ამაზეც იქნებოდა საუბარი.**

— ერთი თვის წინ სიდნეიში იყო ემზარ ზენაიშვილი. სიახლეებზე მან უკვე გიამბოთ ინტერვიუში, ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდები. ერთს კი ვიტყვი, რომ ასამბლეაზე გამოვიდა რუსეთში ავსტრალიის ელჩი, რომელმაც თქვა, სიდნეიში საოლიმპიადოდ ჩასასვლელი ვიზების გაფორმება საკმაოდ გამარტივდებაო.

**— კარგად გვახსოვს რუსუდან ხოფერიასთან და ჩვენი სპორტული დელეგაციის სხვა წევრებთან დაკავშირებული სკანდალი, რომელიც რუსეთში ავსტრალიის საელჩოს მიერ ვიზების გაუფორმებლობას ეხებოდა. რაკი ეს ამბავი „სარბიელმა" ვრცლად გააშუქა, ახლა ისიც გვაინტერესებს, სანკტ-პეტერბურგში ავსტრალიის ელჩს პირადად ხომ არ შეხვედრიხართ და იმ სკანდალზე ხომ არ ჩამოვარდნილა სიტყვა?**

— იმ ამბით შეშინებულნი, უფრო კი იმის გამო, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს, ავსტრალიის ელჩსაც შევხვდით. ადრე ოფიციალური წერილით მობოდიშებას ახლა პირადიც მოაყოლა და გვითხრა, ის ალტმანი, თქვენ რომ გაგაბრაზათ, ჩვენთან აღარ მუშაობს, ხოფერიას საქმეს გადავაყოლეთო.

**— ლამის ნახევარი წელი გავიდა, რაც საქართველოს პრეზიდენტის ოლიმპიური ორდენით დაჯილდოების თაობაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება გაცხადდა, მაგრამ ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალი ჯერ არ ჩატარებულა.**

— ბატონმა სამარანჩმა გვითხრა, ყველაზე კარგი იქნება, გაზაფხულზე თავად ჩამოვიდე თბილისში, ვეწვიო ბატონ შევარდნაძეს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდო პირადად გადავცეო.

**— ალბათ თქვენც მაშინ გადმოგცემენ იმავე ორდენს, რომელიც სამი თვის წინათ მოგენიჭათ.**

— აბა, სამარანჩს საკუთარ თავზე ხომ არ ვკითხავდი? ჩემთვის ჯილდოს გადმოცემა რა პრობლემაა. სამარანჩი, სადაც ინებებს, იქ შეუძლია ამის გაკეთება — გნებავთ, თბილისში, გნებავთ, სოკ-ის შტაბ-ბინაში.

ავთანდილ გურასაშვილი

# დასვენება ყველას უნდა

REUTERS ნიუ იორკიდან



იანა ნოვოტნას რეაქცია შტეფი გრაფის დაბრუნებაზე

**ნიუ იორკი. აშშ. ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 2 მილიონი $**

## მერვედფინალი

**ირინა სპირლეა (რუმინეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:1**

ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველმა მატჩმა ლინდსი დევენპორტს სეზონის ბოლოს კლასიფიკაციის პირველ ადგილზე დარჩენა ჩოგნის ხელში აულებლად გაუნაღდა. საქმე ის არის, რომ ამერიკელის გადასწრების შანსი მხოლოდ მარტინა ჰინგისს ჰქონდა. ისიც იმ შემთხვევაში, თუ „მედისონ სკვერ გარდენში“ გაიმარჯვებდა, გზად კი ყველაზე მაღალი კლასიფიკაციის მქონე მეტოქეების დამარცხებით საკმარის საბონუსო (დამატებით) ქულებს დააგროვებდა. ეს შანსი სპირლეამ შვეიცარიელს სანჩეს-ვიკარიოს გაგდებით მოუსპო.

მატჩის ბედი პირველი ხელის ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. რუმინელი 6:2-ით დაწინაურდა, მაგრამ ოთხივე სეტ-პოინტი გაანიავა, მერე კიდევ ერთხელ გავიდა წინ და ამჯერად სანჩეს-ვიკარიოს შეცდომას დაელოდა. ესპანელის ფორჰენდი გვერდითა ხაზს სულ მცირედით რომ ასცდა, ეს უკანასკნელი ჩოგანს დაეყრდნო, აუტის დამძახებელ გვერდითა მსაჯს ღიმილით შეაჩერდა, მაგრამ კამათი არ დაუწყია. უბრალოდ, ისეთი გადაღლილი იყო, აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა.

მეორე სეტი კი უკვე ცალკარა თამაშს წააგავდა — სპირლეამ, რომელიც ნიუ იორკში მხოლოდ ვინუს უილიამსის ტრავმის გამო მოხვდა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იმარჯვა: „ტაი-ბრეიკის შემდეგ არანჩა თითქოს გამოცვალესო. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, თავად დამითმო შეხვედრა“.

გადაღლილობა სანჩეს ვიკარიომაც აღიარა: „მეორე სეტში ენერგიისგან მთლიანად დაცლილი ვიყავი. ამ ტურნირს ყველა გასავათებული ხვდება, თანაც მომავალი სეზონის დაწყებამდეც მცირე დროღაა დარჩენილი. ჩვენ იმიტომ ვთამაშობთ, რომ ჩოგბურთი გვიყვარს, ჩვენი პროფესიაა, მაგრამ ჩვენც ხომ ადამიანები ვართ. საჭიროა, რაიმე შეიცვალოს“.

**დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) — კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) 7:6 (9:7), 6:2.**

ვან რუსტისა და მარტინესის მერვედფინალი პირველს ორეულივით ჰგავდა — მატჩის ბედი აქაც პირველი სეტის ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა და წაგებით აქაც განთქმულმა ესპანელმა წააგო, ის კი არა, ბელგიელს დასაწინაურებლადაც ზუსტად ხუთი სეტ-პოინტი დასჭირდა.

ოღონდ ყველაფერთან ერთად ვან რუსტს ოდნავ მეტადაც გაუმართლა. 7-7-ზე მარტინესის დარტყმული გვერდითა მსაჯმა აცილებულად ჩათვალა და მიუხედავად იმისა, რომ თანამემამულისგან განსხვავებით კონჩიტამ ამაზე ბევრი იდავა, გადაწყვეტილება აღარ შეცვალა. მომდევნო ქულაზე ბელგიელის ბექჰენდი ბადეს მოხვდა და მეტოქის მხარეს ისე გადავარდა, ესპანელს მოსწრების ოდნავი შანსიც კი არ დაუტოვა: „ასეთი რამეები იშვიათად არ ხდება, მაგრამ მატჩის ბედი, ვგონებ, სწორედ იმ ქულამ გადაწყვიტა. იქედან მოყოლებული მას თითქოს შეხვედრისადმი ინტერესი დაეკარგა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა“.

სანჩეს ვიკარიოს მსგავსად, მარტინესმაც გრძელ სეზონსა და გადაღლილობაზე იწუწუნა: „ძნელია, ამდენი ხანი ითამაშო. სეზონი 22 ნოემბერს სრულდება და იანვარში თავიდან იწყება. თავს ისე გრძნობ, თითქოს არდადეგები არც კი გქონოდეს. ამიტომ ახლა ნებისმიერი ჩოგბურთელი ან გადამწვარია, ან ტრავმა აწუხებს“.

რაც შეეხება ვან რუსტს, 25 წლის ჩოგბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად სწორედ წლეულს, პროფესიონალურ სარბიელზე გატარებული 7 სეზონის მერე მოხვდა და, ბუნებრივია, არანაირი პრეტენზიები არ გაჩნია: „რა თქმა უნდა, ცოტათი დაღლილი ვარ, მაგრამ უფრო მეტად ბედნიერი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ აქ მოხვედრას მოვახერხებდი, მით უმეტეს, ამ ასაკში. იქნებ ჩოგბურთელისთვის ოდნავ კიდეც მოვბერდი, მაგრამ თავს მაინც ახალგაზრდად ვგრძნობ. მთავარია, კორტზე გამოსვლისას თავდაჯერებული იყო და მატჩის მოგება გინდოდეს, მაშინ მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი წლისა ხარ“.

**ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:3, 6:1.**

ვან რუსტის ნათქვამის დასტურად ყველაზე მეტად ნატალი ტოზია გამოდგება.

— ფრანგი ქალბატონი რა ხანია, ჩოგბურთს თამაშობს, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას სწორედ წლეულს, ოცდაათს გადაცილებულმა მიაღწია, როდესაც 1926 წლიდან მოყოლებული უიმბლდონის პირველი ფრანგი ფინალისტი შეიქნა.

ალბათ, ყველაზე უინტერესო მერვედფინალში ტოზიამ წყვილების თამაშის დიდოსტატის — ნატაშა ზვერევას ცხრა ორმაგი შეცდომითა და მატჩის ბედისადმი გულგრილობით ისარგებლა და, უიმბლდონის ნახევარფინალისგან განსხვავებით, მეტოქე ზედმეტი ოფლისღვრის გარეშე გაანადგურა.

თავის ბოლოდროინდელ წარმატებებს კლასიფიკაციით მერვე ფრანგი თამაშის სტილის შეცვლას უმადლის: „ჩოგბურთი უფრო აგრესიული გახდა და მეც რაღაც-რაღაცეები შევცვალე — ჯერ მოწოდება, მერე კი მიღება გავაუმჯობესე. ვცდილობ, ბადესთან რაც შეიძლება ხშირად გავიდე და ბურთი მანამდე მივიღო, სანამ მიწაზე დაეშვება, რათა მეტოქეს ნაკლები დრო და შანსი დავუტოვო.“

პოპულარულად ქცეული დაღლილობის თემა არც ტოზიასა და ზვერევას დაუწყებიათ. „ყველა გასავათებულია“ — აღნიშნა ფრანგმა. „კლასიფიკაციის სისტემა გვაიძულებს, სულ უფრო და უფრო მეტ ტურნირზე ვიასპარეზოთ, შესაბამისად, ტრავმებმაც იმატა — სტატისტიკას რომ გადახედოთ, ლამის მატჩი არ ჩაივლის, რომ მოთამაშეს რაიმე არ ასტკივდეს, ექიმს არ გამოუძახონ“ — განაცხადა ზვერევამ, რომელიც პრესკონფერენციაზე რომ მივიდა, მარჯვენა მხარზე ყინული ედო, ფეხი კი შეხვეული ჰქონდა.

**მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 4:6, 6:0, 6:3.**

ფედერაციის თასის თანაგუნდელებისთვის ეს მხოლოდ მეორე პირადი შეხვედრა გახლდათ. პირველი კი დიდი სლემის თასზე შნიდერის გამარჯვებით დასრულებულიყო.

შვეიცარიის მეორე ჩოგანს პირველისადმი შიში და პატივისცემა არც ნიუ იორკში გამოუმჟღავნებია — ჰინგისი პირველ ხელში უკანა ხაზს მიაჯაჭვა და შესანიშნავად შენიღბული ცაცია ფორჰენდი პირველივე სეტ-პოინტზე ზედ გვერდითა ხაზს დაასვა. წარმატებულმა სტარტმა, როგორც აღმოჩნდა, თავად შნიდერი უფრო დააზნია — მეორე პარტიის მშრალად მოსაგებად და ანგარიშის გასათანაბრებლად მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს სულ 16 წუთი დასჭირდა.

გადამწყვეტი ხელის დასაწყისში ვითარება ისევ რადიკალურად შეიცვალა. კვლავ შნიდერი დაწინაურდა — 2:0, 30:0. ამ ანგარიშზე შვეიცარიელმა თინეიჯერებმა მატჩის უგრძესი გათამაშება მოაწყვეს და კორტის ერთი ბოლოდან მეორემდე ლამის ხუთი წუთის მანძილზე შეუჩერებლად ირბინეს. ბოლოს და ბოლოს არაქათგამოცლილმა ჰინგისმა სასოწარკვეთილი კივილით დარტყმული ტრიბუნებზე გადაუშვა, თუმცა უკეთესი დღე არც შნიდერს დასდგომია. იგი ჩოგანზე დაყრდნობილი კარგა ხან ცდილობდა სულის მოთქმას, მერე კი გასავათებულმა სამივე ბრეიკ-პოინტი გააცუდა.

„ის გეიმი რომ წამეგო, ალბათ, აღარაფერი მიშველიდა, ამიტომ საკუთარ თავს ვუთხარი, ან ახლა, ან არასდროს, ძალები მოიკრიბე-მეთქი — აღიარა მოგვიანებით ჰინგისმა, რომელმაც დარჩენილ დროში მეტოქე აშკარად დაჯაბნა და იმ ფაქტს, რომ სეზონის ბოლომდე კლასიფიკაციაში პირველი ადგილის დაბრუნების შესაძლებლობა მოესპო, ღიმილით შეხვდა — ჯერ ახალგაზრდა ვარ, წინ კიდევ არაერთი წელი მელის“.

მატჩის შემდეგ კი ჰინგისმა კორტის გაპრიალებას მიჰყო ხელი. უბრალოდ, დიდი სლემის ტურნირებზე ყველაზე წარმატებული მოთამაშის პრიზი — „პუვერის“ მტვერსასრუტი გადასცეს და მისი საქმეში გამოცდა იქვე მოიწადინა.

**შტეფი გრაფი (გერმანია) — იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) 6:7 (5:7), 6:4, 6:1.**

მართალი აღმოჩნდა იანა ნოვოტნა, კენჭისყრით შტეფი გრაფთან დაწყვილება რომ შეიტყო, რაღა მაინცდამაინც ამ გერმანელს გადავეყარე, ჩემს ბედს რა ვუთხარიო — ჩეხი პირველი ჩემპიონი შეიქნა, რომელმაც მომდევნო წელს პირველივე წრეში დაასრულა ასპარეზობა.

პირველი ხელი გრაფმა უიღბლობის გამო წააგო — ნოვოტნას დარტყმული სეტ-პოინტზე ბადეს მოხვდა, გერმანელს გადააფრინდა და ზედ უკანა ხაზთან დაეშვა. ჩეხმა ღმერთს მადლობა ჭერისკენ გაგზავნილი საჰაერო კოცნით შესწირა, მაგრამ მეორე ხელის პირველივე გეიმში საკუთარი მოწოდება დაკარგა, მეტოქისას კი ველარაფერი მოუხერხა. მესამე ხელის დასაწყისში მატჩი, ფაქტობრივად, ნაადრევად დასრულდა — ჩეხმა კოჭის ტრავმა მიიღო და მოძრაობა შესამჩნევად გაუჭირდა.

„ჯერაც გაოცებული ვარ, რომ ასეთ მეტოქეებს ვამარცხებ. ორიოდ კვირის წინ შეიძლება ჩემპიონატზეც კი ვერ მოვხვედრილიყავი“ — განაცხადა გრაფმა, რომელმაც ბოლო ხუთ დღეში მსოფლიოს პირველ-მეორე-მესამე ჩოგნები იმსხვერპლა.

„როდესაც მას არაფერი აწუხებს, როდესაც ისე თამაშობს, როგორც დღეს, ის ისევ ძველი შტეფია“ — აღნიშნა თავად ნოვოტნამ. ძველი შტეფის დაბრუნება თავად გერმანელმაც დაადასტურა: როდესაც ჰკითხეს, არდადეგებზე რის გაკეთებას აპირებთო, მოკლედ უპასუხა: „ვარჯიშს“.

**ავთანდილ სვანიძე**

# კრიმინალური საკითხავი ქართველთაგან 200 შტანგის მოპარვაზე

ახლახან კიევის ხმელნიცკის რაიონის სასამართლომ მოსამართლე იური ასტახოვის თავმჯდომარეობით გაასამართლა და სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ხუთ ახალგაზრდა კაცს. განაჩენი საბოლოო არ არის და გასაჩივრებას ექვემდებარება, თუმცა გამოცდილ იურისტთა აზრით, კასაციას არავითარი აზრი არ ექნება, რადგან ბოლო ხანს მსგავსი სასამართლო პროცესებისას უფრო მაღალ სასამართლო ინსტანციებს არც ერთი პროტესტი არ დაუკმაყოფილებიათ. შეიძლება იფიქროთ, გაასამართლეს და გაასამართლეს, ჩვენ, 2000 კილომეტრით შორს მყოფ ქართველ სპორტის მოყვარულთ ამასთან რა კავშირი გვაქვსო. კავშირი იქნებ არც გვქონდეს, მაგრამ ეს ფაქტი, რომელიც უკრაინის დედაქალაქმა უპრობლემოდ მოინელა და ასი კიეველიდან იქნებ ერთსაც კი არ სმენია ამის შესახებ, ალბათ, ჩვენში მაინც აღძრავს ინტერესს. რატომ? ახლავე მოგახსენებთ.

საქმე ისაა, რომ ხუთი მსჯავრდებულიდან ოთხი ჩვენი თანამემამულე გახლავთ, თანაც არა ვინმე უსაქმური ან ყმაწვილკაცობიდან დამნაშავეობის გზაზე შემდგარი, არამედ სპორტის სხვადასხვა სახეობის მიმდევარი ქართველი ახალგაზრდა, რომლებსაც მეტნაკლები მიღწევებით შეუძლიათ თუ შეეძლოთ თავის მოწონება. ერთი ეგ არის, თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში დაბადებულნი თუ გაზრდილნი ბედმა სამშობლოდან შორს, მათთვის უცხო ქალაქში, კიევში შეჰყარა და ერთმანეთიც იქ გააცნო. ვინ არიან ისინი, ეროვნებით ქართველი უკრაინის მოქალაქენი?

დათო ფირანიშვილი — 1975 წელს დაბადებული, უკრაინის ვიცე-ჩემპიონი 21 წლამდე ძიუდოისტთა შორის, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების მონაწილე და პრიზიორი, უკრაინის 1995 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი. კიევში ცხოვრობს 1991 წლიდან. ამჟამად უკრაინის მოქალაქე.

სერგო წულუკიძე — 1974 წელს დაბადებული, იგიც ძიუდოისტია, კიევის 1995 წლის ჩემპიონი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, ამჟამად უკრაინის მოქალაქე.

მიხეილ ურიდია — 1968 წელს დაბადებული, უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების მოკრივეთა 1988 წლის ჩემპიონი, ბოლო ხანს მუშაობდა კიევის მეორე სპორტულ სკოლა-ინტერნატში მწვრთნელად, კიევში ცხოვრობს 1984 წლიდან, ამჟამად უკრაინის მოქალაქე.

ირაკლი კერძევაძე — 1970 წელს დაბადებული. სპორტის ოსტატობის კანდიდატი კრივში, სხვადასხვა შეჯიბრებათა მონაწილე და პრიზიორი, ბოლო ხანს უკრაინის კრივის ფედერაციის თანამშრომელი, კიევში ცხოვრობს 1986 წლიდან, ამჟამად უკრაინის მოქალაქე.

ამ დანაშაულებრივ ჯგუფში იყო კიდევ ერთი კაცი, რომელიც, ალბათ, მთავარ როლს თამაშობდა. ეს გახლდათ კიევში რეგისტრირებული ფირმა „ბეტას“ პრეზიდენტი ნიკოლაი ფომენკო, 1962 წელს დაბადებული, კიეველი. ფომენკოს სპორტთან საერთო არაფერი ჰქონია. იგი სცენაზე მოგვიანებით გამოჩნდა და მეც მის ავან-ჩავანს ცოტა ქვემოთ გაგაცნობთ.

მაინც რა მოხდა, რა ჩაიდინეს ზემოთ ნახსენებმა პიროვნებებმა? მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება? არაფერი მსგავსი. ქურდობა და თანაც ერთობ უცნაური, განსაცვიფრებელი, იქნებ ცოტა ღიმილისმომგვრელიც კი. ყოველ შემთხვევაში, სასამართლო დარბაზში შეკრებილი იურისტები ერთხმად აცხადებდნენ, ჩვენს პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა არ ყოფილაო. ფირანიშვილის, წულუკიძის, კერძევაძის და ურიდიას სამოქმედო არე არც მოქალაქეთა ბინები იყო და არც ბანკების სეიფები თუ პრესტიჟული მაღაზიების ვიტრინები. დანაშაულთა ჩადენის ადგილებიც და ნაპარავიც წმინდა სპორტული გახლდათ. არ გამოყენებულა არც ცივი და არც ცეცხლსასროლი იარაღი. ჯგუფი უარს ამბობდა ყოველგვარ ძალადობაზე, ერთადერთი, რასაც ბიჭები ერთობ ეფექტურად იყენებდნენ, სლავთათვის ეგზომ საყვარელი 40-გრადუსიანი სითხე. უბრალოდ რომ ვთქვათ, არაყი გახლდათ. თავადაც გექნებათ საშუალება დარწმუნდეთ, რომ ამ ოთხეულის დანაშაულებში ალკოჰოლს მთავარი თუ არა, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი მაინც ეკავა.

მაგრამ ჯერ ის ვთქვათ, თუ როგორ მოხვდნენ ბიჭები, მაშინ, ფაქტობრივად, ჯერაც ბავშვები, კიევში. მიზეზები სხვადასხვაგვარი იყო, უმთავრესი კი ის, რომ ეს გადაწყვეტილება მათი ოჯახებიდან მოდიოდა, თორემ 14-16 წლის ჭაბუკებს წასვლა-არწასვლას დიდად რომ არავინ დაეკითხებოდა, ეს თავისთავად ცხადია. ერთი კი ნათელია, ახალგაზრდა ქართველები, რომელთაც სპორტის ანბანი ჯერ კიდევ სამშობლოში ისწავლეს, სულ მალე შორეულ კიევში მოხვდნენ, ერთმანეთი იქ გაიცნეს და დამეგობრდნენ კიდეც.

პირველი დანაშაული ჯგუფმა 1997 წლის იანვარში ჩაიდინა. უკრაინის მოკრივეთა ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე გასამგზავრებლად ემზადებოდა ოდესის მახლობლად, საკურორტო დაბა კუიალნიკში უნდა შეკრებილიყვნენ. გაგაცნობთ ნაწყვეტს იმ შეკრებაზე უკრაინის ნაკრების ხელმძღვანელად დანიშნულ იგორ სიპუხას მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებიდან:

„ასეთი შეკრებისას ცხოვრების, კვების და სხვადასხვა მომსახურების საფასურს ფედერაცია, წესისამებრ, წინასწარ რიცხავს ხოლმე. ხელზე მხოლოდ ყოველდღიური მოთხოვნილებისთვის საჭირო თანხებს გვაძლევენ. რადგან ეს შეკრება საკმაოდ ხანგრძლივი იყო, ამიტომ ჩემთვის მიცემული ნაღდი ფული სოლიდურ თანხას შეადგენდა, 16 ათას უკრაინულ გრივნას. ფული ჯერ კიდევ დღისით, სამი საათისთვის მივიღე და ფედერაციაში ჩემს ოთახში, სეიფში ჩავკეტე. ექვს საათზე თანამშრომლებმა წასვლა იწყეს, მე კი იძულებული ვიყავი, შევყოვნებულიყავი, რადგან ზაპოროჟიედან მეუღლეს უნდა დაერეკა აუცილებელ საქმეზე. დაახლოებით რვა საათისთვის ფედერაციაში ჩემს მეტი არავინ დარჩა დარაჯების გარდა, რომლებიც ზევით უფრო გვიან ამოდიან ხოლმე. ტელევიზორს ვუყურებდი, როდესაც ოთახის კარი კერძევაძემ შემოაღო“.

კერძევაძის გამოჩენა სიპუხას არ გაკვირვებია, რადგან იგიც დელეგაციის წევრი იყო, ხელმძღვანელის თანაშემწე. სიპუხამ და კერძევაძემ შეკრების პერსპექტივებზე და სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე ისაუბრეს, შემდეგ კი კერძევაძემ თანამოსაუბრეს სხვა ოთახში გასვლა და მარტივად რომ ვთქვათ, დალევა შესთავაზა, თანაც აცნობა, მეგობარს ველიო. სიპუხა სიამოვნებით დათანხმდა. მალე მეგობარიც — სერგო წულუკიძე გამოჩნდა და თანამეინახეებმა სიპუხას ოთახის მეზობლად ქეიფი გააჩაღეს. მერე კი, უკვე კარგად შემთვრალებმა, ყოველ შემთხვევაში, სიპუხას თქმით, თავად იგი „კონდიციამდე“ იყო მისული, „აღმოაჩინეს“, რომ დაკეტილ სეიფში ფული აღარ იდო. წესით და რიგით, ამაზე მაშინვე უნდა აღძრულიყო საქმე, მაგრამ ფედერაციის მესვეურებმა საქმის მიფუჩეჩება არჩიეს და დროებით ყველაფერი ჩაიფარცხა. ბიჭებს კი 16 ათასი გრივნა ანუ დაახლოებით 10 ათასი დოლარი ერგოთ და, როგორც მეგობრობას ეგების, ურიდიასა და ფირანიშვილსაც გაუყვეს.

ეს იყო პირველი არცთუ დიდი, მაგრამ, სამაგიეროდ, იღბლიანი ოპერაცია. ზუსტად ოთხი თვის შემდეგ კი მას მეორე მოჰყვა, ასევე იღბლიანი, მაგრამ ბევრად უფრო ხელხვავიანი. ამჯერად უკვე ოთხივე მეგობარს მოუწია გარჯამ. მათ სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ კუთვნილი საწყობიდან 200 შტანგა, მოკრივის 1000 წყვილი ხელთათმანი და სხვა ნივთები მოიპარეს. აი, სწორედ აქ გამოდის სცენაზე ნიკოლაი ფომენკო. იგი კიევში კერძევაძის მეზობელი იყო და ასაკით უფროსობის მიუხედავად, მასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობაც აკავშირებდა. სწორედ ფომენკომ უზრუნველყო ჯგუფი სატვირთო ავტომობილით, „საქმის მიმცემიც“ ის იყო და ნადავლის რეალიზაციაც თავადვე იკისრა, რაც წარმატებით განახორციელა კიდეც. ეს ოპერაციაც მარტივად წარიმართა: სანამ კერძევაძე კავკასიური ხელგაშლილობით მასპინძლობდა საწყობის დაცვას (მას აქაც კარგად იცნობდნენ), დანარჩენები ამ დროს „მუშაობდნენ“.

უკანასკნელი საბედისწერო ცდა ჯგუფმა 1998 წლის თებერვალში განახორციელა. აქაც უდიდესი როლი ითამაშა ნიკოლაი ფომენკოს შესაძლებლობებმა. მან მორიგი ნადავლის რეალიზაციაც იკისრა, ეს კი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციის საწყობში შენახული დიდი რაოდენობის სხვადასხვა მედიკამენტი გახლდათ. ოპერაციის სცენარი ტყუპისცალივით ჰგავდა სპორტული ინვენტარის ქურდობისას გამოყენებულს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამართალდამცავებმა ამჯერად ძველი ფაქტების ამოტივტივებაც შეძლეს და იაზრეს, რომ კერძევაძე კრავივით უცოდველი არ უნდა ყოფილიყო. ამას დაემატა ნიკოლაი ფომენკოს ჩავარდნაც, როდესაც ის ნაქურდალის ბელარუსიში გატანას ცდილობდა და ეშმაკის ბორბალიც აგორდა. შედეგად, ჯგუფის წევრებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა: ფომენკოს — 10 წლით, კერძევაძეს — 8 წლით, ურიდიასა და წულუკიძეს — 5-5 წლით, ფირანიშვილს — 4 წლით.

განაჩენი შეიძლებოდა უფრო მკაცრიც ყოფილიყო, მაგრამ აქ არცთუ მცირე როლი ითამაშა იმან, რომ ბიჭები აბსოლუტურად ყველგან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და ისინი აუგად არავის უხსენებია. თუმცა ეს განსასჯელებისთვისაც და მათი ახლობლებისთვისაც ვერაფერი ნუგეშია.

აღსანიშნავია, რომ ფირანიშვილიც, ურიდიაც, წულუკიძეც და კერძევაძეც კატეგორიულად უარყოფდნენ თავიანთ კავშირს საქართველოსთან და აცხადებდნენ, რომ ისინი უკრაინის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. ზუსტად ვერ გეტყვით, რა მიზეზით, მაგრამ სავარაუდოა, რომ ყოველივე ადვოკატების რჩევით მოხდა, რადგან თავის კავკასიურ წარმომავლობაზე აქცენტის გაკეთებით სამართალი იქნებ უფრო მკაცრიც ყოფილიყო.

**ირაკლი სირაძე**
**კიევიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა“**

# ტრაგედია ხიროსიმაში

იაპონიაში, ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მეოთხედფინალური ეტაპის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. ამ შეხვედრებიდან ზოგი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა, ზოგშიც კი ფავორიტებმა იოლად დაამარცხეს მეტოქეები.

ესპანეთის ნაკრებმა დაამტკიცა, რომ პირველ ეტაპზე სამი თამაში შემთხვევით არ მოუგია და ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. პირენეელები ამ ჩემპიონატზე მეორედ შეხვდნენ კორეელებს და მეორედაც მოუგეს. თუ ამ გუნდების პირველი მატჩი ხუთ პარტიამდე გაგრძელდა, გუშინ ევროპელებს აზიელთა დასამარცხებლად სამი პარტია ეყოთ. „მადლობას ვუხდი ყველა ჩემს ფრენბურთელს, რომლებმაც საუცხოოდ ითამაშეს. კორეელები დღეს საკმაოდ ცუდ ფორმაში იყვნენ, თუმცა ჩვენი წარმატების მიზეზი მარტო ეს არაა. წინა თამაშისგან განსხვავებით, დღეს მეტოქეს სხვა ტაქტიკა დავუპირისპირეთ" — თქვა ესპანელთა თავკაცმა იტალიელმა ვიჩენცო დი პინტომ.

ბრაზილია-კანადის მატჩში პირველ ორ პარტიაში ჩრდილოეთამერიკელებმა მეტნაკლები წინააღმდეგობა გაუწიეს სამხრეთამერიკელებს. ორივე ხელში კანადელები მაშინ გატყდნენ, როცა ანგარიში 6:6 იყო. მესამე ხელში კი ბრაზილიელების მაურიციო ლიმასა და ჟილბერტო გოდოი ფილიოს დუეტმა უცებ მოუთავა ხელი მეტოქეს და მათმა ნაკრებმაც პირველი ორი ქულა მიითვალა.

კუბას ბულგარეთთან ცოტა გაუჭირდა. პირველი სამი პარტია თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ბულგარელებისგან ყველაზე მეტად ნიკოლაი ივანოვი გამოირჩეოდა. მეორე ხელში თავიდან კუბა 5:0 დაწინაურდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებას საკმაო ძალა შეალია. მეოთხე პარტიაში კი სლავები დაიღალნენ და მოწინააღმდეგეს იოლად დანებდნენ. „დღევანდელ თამაშს ნახევარფინალების საგზურებისთვის ბრძოლაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოგებით კმაყოფილი ვარ" — თქვა გამარჯვებულთა მწვრთნელმა ხუან დიამ.

ხიროსიმას სპორტულ დარბაზში ჯგუფის ბოლო თამაშის საყურებლად მისული 6 500 მაყურებელი იმედგაცრუებული დარჩა. მასპინძელმა იაპონიამ 2 საათსა და 13 წუთში 1:3 წააგო არგენტინასთან. თუმცა იაპონელებს ადვილად არ დაუთმიათ მატჩი. ამაზე ანგარიშიც მეტყველებს — 15:12, 15:12, 12:15, 15:10. „მოხარული ვარ, რომ ტურნირის მასპინძლებთან მოგება შევძელით" — მეტად ლაკონიური იყო არგენტინელთა კაპიტანი ხავიერ ვებერი.

ტურის ყველაზე კარგი შეხვედრა რუსეთი-აშშ იყო, რომელიც სამ საათს გაგრძელდა და სლავების გამარჯვებით 3:2 დამთავრდა. ამ მატჩში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. რუსებს ბოლო ორ პარტიაში მეტოქეზე მეტად შემორჩათ ძალა და გაიმარჯვეს კიდეც. „ძნელი თამაში მოვიგეთ. აშშ კარგად ორგანიზებული გუნდია" — განუცხადა ჟურნალისტებს რუსთა თავკაცმა გენადი ჩიპულინმა.

ამ ჯგუფის დანარჩენ სამ შეხვედრაში ჰოლანდიამ, იუგოსლავიამ და იტალიამ იოლი გამარჯვებები მოიპოვეს საბერძნეთთან, ჩინეთთან და უკრაინასთან. ნახევარფინალში გასასვლელადაც, რუსებთან ერთად, სწორედ ეს სამი ნაკრები შეეჯახება ერთმანეთს და ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, ვინ იმარჯვებს.

მეორე ტურის მატჩები დღეს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: კუბა-კანადა, არგენტინა-ბულგარეთი, კორეა-ბრაზილია, ესპანეთი-იაპონია, იუგოსლავია-საბერძნეთი, რუსეთი-ჩინეთი, ჰოლანდია-უკრაინა და იტალია-აშშ.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეოთხედფინალური ჯგუფები

I ტური

ესპანეთი — კორეა 3:0 (15:7, 15:6, 15:11)
ბრაზილია — კანადა 3:0 (15:6, 15:9, 15:3)
კუბა — ბულგარეთი 3:1 (15:12, 17:16, 13:15, 15:4)
არგენტინა — იაპონია 3:1 (15:12, 15:12, 12:15, 15:10)
რუსეთი — აშშ 3:2 (13:15, 15:13, 12:15, 15:7, 15:7)
ჰოლანდია — საბერძნეთი 3:0 (15:2, 15:8, 15:4)
იუგოსლავია — ჩინეთი 3:0 (15:4, 15:5, 15:4)
იტალია — უკრაინა 3:0 (15:7, 15:12, 15:3)

### სატურნირო ვითარება

| I მეოთხედფინალური ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| კუბა | 1 | 1 | 0 | 2 |
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 2 |
| იაპონია | 1 | 0 | 1 | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 1 |
| კორეა | 1 | 0 | 1 | 1 |
| კანადა | 1 | 0 | 1 | 1 |
| **II მეოთხედფინალური ჯგუფი** | | | | |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 2 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 2 |
| იტალია | 1 | 1 | 0 | 2 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| აშშ | 1 | 0 | 1 | 1 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 1 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 1 |
| ჩინეთი | 1 | 0 | 1 | 1 |



იტალია — უკრაინა. პასკუალე გრავინამ უკრაინელები წელში გატეხა



# რუსს თითი უნდა დაუქნიო

17 ნოემბერი

**კოლორადო — აილენდერსი 5:2**

1:1 2:1 2:0

1:0 ფორსბერგი 6'33 (6); 1:1 ჩერკავსკი 16'43 (3); 2:1 კამენსკი 30'45 (5), 2:2 ჩერკავსკი 34'01 (4); 3:2 საკიკი 34'26 (9); 4:2 მილერი 41'08 (1); 5:2 ლემიე 59'03 (6)

კოლორადოს თავკაცი ბობ ჰარტლი თავისი გუნდის ყოველი დამარცხების შემდეგ ფარ-ხმალს როდი ყრის. დაცვის ძირფესვიან გარდაქმნაზე უკვე გაუწყეთ, ჩემპიონატის დასაწყისში უსუსურად მოთამაშე ვალერი კამენსკის გონს მოსაყვანად კი მწვრთნელმა ასეთ ხერხს მიმართა — ფორვარდი რამდენიმე მატჩით სათადარიგოთა შორის გაამწესა. სამშაბათს ჰარტლიმ, ეტყობა, ჩათვალა, რომ ჰოკეისტი „მოჭკვიანდა" და მართლაც, თამაშს მოწყურებული კამენსკი ჩინებულად გაისარჯა. ნიუიორკელებთან შეხვედრაში რუსი უეჭველად საუკეთესო იყო და 3 შედეგიან პასს უძლიერესი დარტყმით გატანილი შაიბაც დაამატა. მასპინძელთა ლიდერებმა პეტერ ფორსბერგმაც (1+1) და ჯო საკიკმაც (1+1 და 9(2+7) ქულა 3 მატჩში) შეიმატეს ქულები, აილენდერსი კი ზედიზედ მერვედ დამარცხდა „ეველანშთან".

**კაროლინა — მონრეალი 5:4**

1:2 3:0 1:2

1:0 დაინინი 8'47 (2); 1:1 სავაჟი 9'27 (5); 1:2 რუჩინსკი 13'29 (3); 2:2 ჟელინა 27'31 (3); 3:2 რობერტსი 3 0'52 (4); 4:2 შეპარდი 34'40 (5); 5:2 შეპარდი 47'10 (6); 5:3 დამფუსი 51'22 (6); 5:4 რუჩინსკი 55'39 (4)

კანადელთა მწვრთნელებმა მატჩის წინა დღეს მონრეალში ჩასული ჯეფ ჰეკეტის კარში დაყენება ვერ გაბედეს და, ალბათ, შეცდნენ კიდეც, რადგან ჟოზე ტეოდორმა (21 მოგერიება) თავისიანები ვერ იხსნა და მეორე პერიოდში შვიდ წუთში 3 შაიბა გაუშვა. მეორე ახალწვეულმა ერიკ უეინრიჩმა 1 პასი მიითვალა, ხოლო მასპინძელთა ლიდერმა კეიტ პრიმომ პირველ მესამედში ტრავმა მიიღო.

**ნეშვილი — ჩიკაგო 1:2**

0:1 0:0 1:1

0:1 ჟამნოვი 18'44 (2); 0:2 ამონტე 46'16 (13); 1:2 რონინგი 47'53 (4)

ჩიკაგომ ბოლოს, 24 ოქტომბერს, სწორედ ნეშვილთან შეხვედრაში გაიმარჯვა, უხეირო სერიის (+0=2-8) შეწყვეტა კი მეტწილად ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის ტონი ამონტეს (1+1) დამსახურებაა. ვერც „ქორების" ახალწვეულებმა ივარგეს, ხოლო მეკარე ჟოსლენ ტიბოს, ჰეკეტის დარად, საერთოდ არ უთამაშია. კლიფ რონინგმა კარიერაში მე-200 გოლი გაიტანა.

**პიტსბურგი — ფილადელფია 1:4**

0:0 1:1 0:3

0:1 ჯოუნსი 25'10 (4); 1:1 ლანგი 29'08 (7); 1:2 ბრინდამორი 49'10 (8); 1:3 დეჟარდენი 55'38 (2); 1:4 ლეკლერი 58'53 (1)

ფილადელფიელი როდ ბრინდამორისთვის (1+1) პიტსბურგი ყოველთვის სასურველი მეტოქეა (53 ქულა 41 მატჩში), თუმცა მანამ, სანამ ფორვარდი ორ გადამწყვეტ გოლში უშუალო მონაწილეობას მიიღებდა (დეჟარდენმა მისი პასით გაიტანა), მასპინძლებს მატჩის ხსნა შეეძლოთ. ამაოდ — საწყის 25 წუთში 6-ჯერ (!) რიცხვმრავალმა „პინგვინებმა" ვერაფერი იხეირეს.



REUTERS

კოლორადო — აილენდერსი. კოლორადოელთა მეკარე პატრიკ რუას შაიბა წამით კი გაუსხლტა, მაგრამ მაინც მოიხელთა

### სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 17 | 9 | 2 | 6 | 56:50 | 20 |
| ბუფალო | 14 | 7 | 4 | 3 | 40:26 | 18 |
| ბოსტონი | 17 | 6 | 4 | 7 | 40:32 | 16 |
| ოტავა | 15 | 6 | 3 | 6 | 43:41 | 15 |
| მონრეალი | 17 | 6 | 2 | 9 | 39:49 | 14 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| სენტ ლუისი | 15 | 7 | 4 | 4 | 42:35 | 18 |
| დეტროიტი | 16 | 8 | 0 | 8 | 47:42 | 16 |
| ნეშვილი | 16 | 6 | 1 | 9 | 39:47 | 13 |
| ჩიკაგო | 18 | 5 | 3 | 10 | 38:63 | 13 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 14 | 9 | 2 | 3 | 37:27 | 20 |
| ფინიქსი | 12 | 8 | 2 | 2 | 34:17 | 18 |
| ანაჰაიმი | 16 | 6 | 4 | 6 | 37:37 | 16 |
| ლოს ანჯელესი | 18 | 5 | 3 | 10 | 39:49 | 13 |
| სან ხოსე | 14 | 3 | 4 | 7 | 33:35 | 10 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 16 | 9 | 1 | 6 | 53:39 | 19 |
| ვანკუვერი | 16 | 8 | 1 | 7 | 50:41 | 17 |
| კოლორადო | 17 | 7 | 2 | 8 | 48:49 | 16 |
| კალგარი | 17 | 7 | 2 | 8 | 47:48 | 16 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 15 | 9 | 0 | 6 | 33:35 | 18 |
| პიტსბურგი | 16 | 7 | 4 | 5 | 43:42 | 18 |
| ფილადელფია | 17 | 7 | 4 | 6 | 45:37 | 18 |
| აილენდერსი | 18 | 8 | 0 | 10 | 45:48 | 16 |
| რეინჯერსი | 16 | 4 | 5 | 7 | 38:45 | 13 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 18 | 8 | 3 | 7 | 48:44 | 19 |
| ფლორიდა | 15 | 6 | 3 | 6 | 33:41 | 15 |
| ტამპა | 17 | 6 | 2 | 9 | 40:61 | 14 |
| ვაშინგტონი | 15 | 5 | 3 | 7 | 33:40 | 13 |

*ბომბარდირები: ფორსბერგი (კოლორადო) 25 (6+19); ლინდროსი (ფილადელფია) 22 (11+11); საკიკი (კოლორადო) 22 (9+13); იაგრი (პიტსბურგი) 21 (5+16); კარია (ანაჰაიმი) და სუნდინი (ტორონტო) 20 (8+12); ლეკლერი (ფილადელფია) 19 (11+8); ფლერი (კალგარი) 19 (10+9); ბრინდამორი (ფილადელფია) 19 (8+11); გერინი (ედმონტონი) 18 (12+6); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 18 (9+9)*

## ვოპატი მართლა მოხეტიალე ფორვარდია

კოლორადოში შეძენილმა ფორვარდმა კეიტ ჯოუნსმა ორ მატჩში ჩინებული თამაშით ახალი კლუბის, ფილადელფიას მესვეურები ისე მოხიბლა, ლინდროსის სამეულში მისი დამკვიდრება ეჭვს აღარ იწვევს. ახალბედა მაიკ მანელიუკს ეს კარგს არაფერს უქადდა, რადგან ჯოუნსმა სწორედ მისი ადგილი დაიკავა და ამიტომაც მისთვის მოულოდნელი არ იყო, როცა გენერალურმა მენეჯერმა ბობ კლარკმა გადაწყვიტა, ტანმორჩილი ფორვარდი სხვა ჰოკეისტზე გადაეცვალა. ასე რომ, საქმე მოგვარდა. ფილადელფიამ მანელიუკის ნაცვლად ჩიკაგოსაგან ცენტრფორვარდი რომან ვოპატი მიიღო. მისთვის ჩემპიონატის დაწყებიდან ეს უკვე მეოთხე კლუბია (ლოს ანჯელესი, ჩიკაგო, კოლორადო), თუმც ახალგაზრდა ჩეხი დარწმუნებულია, რომ, როგორც იქნა, თავის შესაფერის გუნდში მოხვდა.

იყიდება ესპანური კედლის და იატაკის მოსაპირკეთებელი ფილები (მეტლახი, კაფელი) იაფად, შინ მიტანით.

მისამართი: ელიავას ბაზრობა, სანტექნიკის რიგი, ჯიხური № 179. დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე.

## კვირის მოთამაშე

### ჯიმი უეიტი (ფინიქსი)



ბუფალოელი დომინიკ ჰაშეკისა და ფინიქსელი ჯიმი უეიტის პაექრობაში წინა კვირის საუკეთესო მოთამაშე გამოვლინდა. ორივე მეკარეს თითქმის ერთნაირი შედეგები ჰქონდათ (თითო-თითო შატაუტი და შესაბამისად 4 და 3 გაშვებული შაიბა), მაგრამ ბოლოს სასწორის პინა მაინც ფინიქსელისკენ გადაიხარა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, უეიტი შედარებით ახალგაზრდაა და, ფაქტობრივად, უცნობია მაყურებლისთვის, თანაც მან შატაუტი ერთ-ერთ გრანდთან, დალასთან გააზერხა (38 მოგერიება). საინტერესოა, რომ უეიტი ნჰლ-ში უკვე მე-11 სეზონს ატარებს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას მხოლოდ 95 თამაში ჩამოეთვლება, ხოლო კარიერის მანძილზე სამ კლუბში — სან ხოსეში, ჩიკაგოსა და ფინიქსში თამაშისას იგი მუდამ ძირითადი მეკარის შემცვლელი იყო. თავის აღზევებას ჯიმი უეიტი ფინიქსის პირველ ნომერს, ნიკოლაი ჰაბიბულინს უნდა უმადლოდეს, რომელმაც ტრავმა მიიღო.

**კვირის საუკეთესო ექვსეული**

*ჯიმი უეიტი* (ფინიქსი); *ელ მაკინისი* (სენტ ლუისი) — *ბრაიან მაკეიბი* (ვანკუვერი); *პაველ დემიტრა* (სენტ ლუისი) — *ჯო საკიკი* — *პეტერ ფორსბერგი* (ორივე კოლორადო).

## ერთ ბედ ქვეშა ვართ...

ორმა მაჩანჩალამ, ჩიკაგომ და მონრეალმა, ეტყობა, გაყოჩაღება და ერთმანეთის დახმარება გადაწყვიტეს და სოლიდური გაცვლაც გაჩარხეს: ჩიკაგოში გადაბარგებული მცველების — დეივ მეისონისა და ბრედ ბრაუნის, მეკარე ჟოსლენ ტიბოს ნაცვლად მონრეალმა ასევე ორი მცველი — ერიკ უეინრიჩი და ალენ ნასრედინი და გოლკიპერი ჯეფ ჰეკეტი მიიღო. მთავარი მაინც 23 წლის ტიბოსა და 30 წლის ჰეკეტის გაცვლაა. ერთიც და მეორეც თავიანთ გუნდებში პირველი მეკარეები არიან. ჯერ ძნელი სათქმელია, ამ ტრეიდით რომელიმე ამ კლუბის მდგომარეობა გაუმჯობესდაო, მაგრამ შეიძლება ერთმა ფაქტორმა იმოქმედოს: ხშირად ახალ კლუბში გადასულები ძალიან ინდომებენ, რითაც პარტნიორებსაც აგულიანებენ ხოლმე.

**სამველ ლარიბიანი**

## დასაწყისი პირველ გვერდზე

ბორჯღალოსნებმა ბოლო წამებზე გაიბრძოლეს. ქავთარაშვილმა რუმინელთა შეტევა ჩაჭრა, მთელი მოედანი გადასერა და ლელოც გაიტანა. ურჯუკაშვილმა კი გარდასახა, მაგრამ ამ დროს მსაჯის სასტვენის ხმა გაისმა და ქართველი მორაგბეები 23:27 დამარცხდნენ.

ჩვენი მსოფლიოს თასზე მოხვედრის იმედიც, ალბათ, აქ გადაიწურა. მატჩის მერე ცნობილ ვეტერან დავით კილასონიას ვესაუბრე, რომელმაც აღნიშნა, რუმინელებისთვის უნდა მოგვეგო, შეგვეძლო კიდეც ბრძოლით მოპოვებული უპირატესობა თვალსა და ხელს შუა რომ არ გაგვენიავებინა. უელსში თამაში თუ გვინდა, ტონგას უნდა მოვუგოთ, რომელიც რუმინეთზე ძლიერია, ამიტომაც მსოფლიო რაგბის ელიტაში მოხვედრა სათუოდ მეჩვენებაო.

# სიხარულამდე ისევ შორია

REUTERS ფოტოქრონიდან



მევლუდ მთიულიშვილი რუმინულ წნეხში

*** *** ***

„ლენსდაუნ როუდზე" 1999 წლის მსოფლიოს თასზე გასასვლელად ფავორიტს, რუმინეთის ნაკრებს პირველ ტაიმში წაგებული 3:6-ის 27:23-ად შემობრუნება მოუხდა და საქართველო ასე დაამარცხა.

ამ გამარჯვებამ რუმინეთი, ირლანდიის მსგავსად, უელსის საგზურით დააჯილდოვა, საქართველოს კი გადათამაშება მოუწევს.

საქართველო, რომელიც პირველად იბრძვის მსოფლიოს თასისთვის, გასულ შაბათს ირლანდიასთან 0:70 დამარცხდა, რუმინეთი კი ამ შეჯიბრებაში 1991 და 1995 წლებში მონაწილეობდა და მისგან იოლ გამარჯვებას ელოდნენ.

მაგრამ ფავორიტებმა პირველ ტაიმში რიტმს ვერ მიაგნეს და 3:6 დამარცხდნენ. მეორე ტაიმში მათ თანდათან გააძლიერეს ზეწოლა და ძლიერი, შემტევი თამაშიც გააჩაღეს ტაქტიკურად გამართული დარტყმებითა და სოლიდური დაცვით.

საქართველომ შეხვედრა ალმაფრენით დაასრულა, ბოლო წუთზე აჩიკო ქავთარაშვილმა საკუთარ კართან მოიხელთა ბურთი და სწრაფი გარღვევა ლელოთი დაასრულა. მალხაზ ურჯუკაშვილმა უმალ კი გარდასახა, მაგრამ აქ რუმინელებს მსაჯის საფინალო სასტვენმა სულზე მიუსწრო.

**როიტერი**

# ალბანეთი მხოლოდ გაბრწყინდა

## დასაწყისი პირველ გვერდზე

ბოლო წუთებში ბერძნები უკეთ გამოიყურებოდნენ, მასპინძლები აშკარად დაჯაბნეს ფიზიკური მომზადების ხარჯზე. 85-ე წუთზე კი ღმერთმა უშველა ალბანელებს: გეორგიატოსი კვლავ პირისპირ დარჩა სტრაკოშასთან, მაგრამ ძელს ისეთი მანძილიდან მოარტყა, საიდანაც არგატანა უფრო ძნელია. სულ ბოლოს კი ბუში შეიჭრა საჯარიმოში, სახიფათოდაც დაუგორა იქვე მყოფ ტარეს, მაგრამ ცოტა ძლიერად გამოუვიდა — ტარემ ბურთს ფეხი ველარ უსწორა. ეს მომენტი და ესპანელი მსაჯის სასტვენი ერთი იყო. ფრე, რომელმაც კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში.

## მატჩის შემდეგ

ანგელ იორდანესკუ, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი:

— ძალიან კარგი მატჩი იყო, ბევრი ხელსაყრელი მომენტით თუმცა მცველთა ხშირი შეცდომებით. მადლობა ორივე გუნდის ფეხბურთელებს ლამაზი, თავდადებული თამაშისთვის. პირველ ტაიმში ალბანელები უკეთ გამოიყურებოდნენ, საგოლე მომენტებიც ბლომად შექმნეს, შესვენების შემდეგ კი გამოვფხიზლდით და ვალდებულებიც ვიყავით, ფეხბურთელები, გოლი გაგვეტანა.

ამ მატჩის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ალბანელთა 2:2 ნორვეგიაში ლოგიკური ყოფილა. ალბანური ფეხბურთი პროგრესს განიცდის.

ასტრიტ ჰაფიზი, ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი:

— ძნელი თამაში იყო. ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა ქომაგებს მხარდაჭერისთვის.

მომენტებს თუ გავითვალისწინებთ, გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ შეიძლებოდა წაგვეგო კიდეც. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ ჩვენმა ნაკრებმა თავდასხმაში კარგად ითამაშა, მეტოქეს ძალიან ბევრჯერ დავემუქრეთ. ახლა საკმაო დრო გვაქვს მოსამზადებლად და იმედი მაქვს, მომავალში მეტს მივაღწევთ.

საბერძნეთის ნაკრებმა დღეს გაცილებით კარგად ითამაშა, ვიდრე სლოვენებთან და ქართველებთან. ჩვენ კი ფსიქოლოგიურად გაგვიჭირდა: როგორია, ორი წელია, შინ არ გვითამაშია.

დაბოლოს — მეორე ტაიმში სტადიონი განათდა. ბოლო წლებში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მოედანი ელექტრობამ გაანათა.

მატჩს ესწრებოდნენ ქვეყნის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

* * *

ახლა, როცა შეხვედრა დამთავრებულია, ყველაფერი მაინც არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი — ბერძნებს ჯერაც ვერ გაურკვევიათ, ვინ უხელმძღვანელებს მათ გუნდს.

იორდანესკუს და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას შორის ურთიერთობა ამ ბოლო ხანებში ძალიან დაიძაბა და ამის თაობაზე გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით კიდეც.

ახლა იგივე რომ არ გავიმეოროთ, ადრე თქმულს ერთს დავამატებთ — თუ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის განცხადებას დავეყრდნობით, ანგელ იორდანესკუმ ნაკრებიდან აეკ-ში წასვლა უკეთესი გასამრჯელოს გამო გადაწყვიტა.

ადრე გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, იორდანესკუ საბერძნეთის ნაკრების წვრთნისას ერთ წელიწადში 320 ათას დოლარს მიიღებს, ათენური კლუბი კი მას წელიწადში გაცილებით მეტს, 534 ათას დოლარს სთავაზობს.

— ანგელ იორდანესკუმ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები ბოლომდე უნდა შეასრულოს. ეს კატეგორიული მოთხოვნაა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, მთავრობა შევაწუხოთ, რათა იორდანესკუს საბერძნეთში მუშაობის უფლება არ მისცენ — ბრძანა ქვეყნის ფეხბურთის მმართველი ორგანოს ერთ-ერთმა ჩინოსანმა.

ხმები იორდანესკუს თანამდებობიდან წასვლის შესახებ თითქმის კვირაა, რაც გავრცელდა. თავად იორდანესკუმ კი ტირანაში შესარჩევ მატჩამდე თქვა, მე არაფერი ვიცი, საბერძნეთის ნაკრებს ორი წელი ვუხელმძღვანელებ, რის აეკი, რა აეკიო. თავის მხრივ, აეკ-მა განაცხადა, იორდანესკუსთან კონტრაქტი კვირის ბოლოს გაფორმდებაო.

ერთი სიტყვით, სიტუაცია ჯერაც ბურუსითაა მოცული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| სლოვენია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

*უახლოესი მატჩები. 27 მარტი. საქართველო — სლოვენია. საბერძნეთი — ნორვეგია*

# ქართველები დროს არ კარგავენ

მოგეხსენებათ, ჩეხებთან მატჩისთვის ქართველ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ისრაელში ემზადება. ჩვენებურები ვინგეიტის საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდნენ და ახლა სპარინგ-პარტნიორებს უთანხმდებიანო, გაუწყეთ. ქართველებთან გაჯიბრების მსურველიც მალე გამოჩენილა. ებრაელთა თექვსმეტწლამდელთა ნაკრები ჩვენების „შვიდკაცას" (გუშინდლამდე სწორედ შვიდნი იყვნენ) მინასთან გაუსწორებია 103:55.

გუშინ კი გუნდს რეზო ჩხეიძე და ირაკლი ვაშაკიძე შეუერთდნენ და მწვრთნელებსაც სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარების საშუალება მიეცათ. ამ ორი კალათბურთელით გაძლიერებულებს არც ებრაელთა მეორე ლიგის გუნდის დამარცხება უნდა გაუჭირდეთ, რომელიც ქართველთა ნაკრებთან თამაშს დაყაბულებულა.

როგორც ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ზაზა ცაგარეიშვილმა გვამცნო, ისრაელის ეროვნულ გუნდთან შეხვედრა, სამწუხაროდ, არ ხერხდება, რადგან დანარჩენი ლეგიონერები — სტეფანია, ბოისა და ბერძენიშვილი გუნდს პირდაპირ პრაღაში შეუერთდებიან, მათ გარეშე ებრაელთა პირველ გუნდთან თამაშს კი აზრი არ აქვს, შევრცხვებითო.

ქართველები ჩეხეთს 23-ში, დილით ჩაფრინდებიან, იქამდე კი დროს არ კარგავენ და ვარჯიშებს შორის შესვენებისას მეტოქის თბილისურ თამაშს ვიდეოჩანაწერზე აკვირდებიან.

**გიორგი ბიკაშვილი**

## კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური

B ჯგუფი

პანათინაიკოსი 83:70 ციბონა

C ჯგუფი

ალბა 75:72 კინდერი

D ჯგუფი

ტიმ სისტემი 84:61 ვილერბანი

## EURO 2000 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

### III ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია 2:2 მოლდოვა**

0:1 გაიდამაშჩუკი (22), 1:1 დოუვი (49), 1:2 ტესტიმიცანუ (57), 2:2 ლენონი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |

### VI ჯგუფი

**სან მარინო 0:1 კვიპროსი**

0:1 სპოლიარიჩი (41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

### VI ჯგუფი

**მალტა 1:2 მაკედონია**

0:1 ნიკოლოვსკი (49), 0:2 ზახარიევსკი (62), 1:2 სიქსმიტი (69)

მალტა: მუსკატი, სიქსმიტი, კამილერი, სპიტერი, დებონო, ბატიჯიჯი, ბუზუტილი, სალიბა (ტერნერი), ნვოკო (კარაბოტი), ბრინკეტი, კუტაიარი (აგიუსი)

მაკედონია: მილოშევსკი, ვესელინოვსკი, ნიკოლოვსკი, სედლოსკი, ბაბუნსკი, სტავრესკი, ზახარიევსკი, მიჩევსკი, ბოზინოვი (სტანკოვსკი), საინოვსკი, საკირი

**იუგოსლავია 1:0 ირლანდია**

1:0 მიატოვიჩი (63)

იუგოსლავია: კრალი, ჯუკიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი, მიხაილოვიჩი, ი.სტანკოვიჩი, იუგოვიჩი (გროზიჩი 83), დ.სტანკოვიჩი, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი (კოვაჩევიჩი 46), მილოშევიჩი (დრულოვიჩი 76)

ირლანდია: გივენი, ირვინი, სტონტონი, კანინგემი, ბრინი, კინი, მაკლაფლინი (კონოლი 71), კინსელა, ქუინი (კასკარინო 71), მაკატირი (ონილი 83), დაფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:1 | 6 |
| მაკედონია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |

REUTERS ფოტოქრონიდან



იუგოსლავია — ირლანდია. ერთად-ერთი ბურთის გამტანი პრედრაგ მიატოვიჩი (№8)

## პოლონეთი

III ტური

ამიცა 2:3 ვიძევი

ლეგია 1:0 ლეხი

ბელხატოვი 1:0 სტომილი

ვისლა 0:1 ზაგლებიე

რუხი 0:0 პოლონია

ლკს 2:1 ოდრა

გურნიკი 4:0 პოგონი

## თურქეთი

თასის მერვედფინალი

ალთაი 1:4 საქარია

ანკარა 3:1 ბურსა

ქორლუ 1:4 ბეშიქთაში

ისთანბული 3:0 გენჩლერბირლიგი

სამსუნი 3:2 ერზურუმი

ქოჯაელი 1:1 ქარაბუქი

ადანა 0:2 გალათასარაი

ტრაბზონი 5:4 გაზიანთეფი

## EURO 2000 ახალგაზრდული ჩემპიონატი

UNDER-21 Championship

### IX ჯგუფი

**შოტლანდია 2:2 ბელგია**

0:1 სომერსი (9), 0:2 ვან დე პაარი (14პ), 1:2, 2:2 დარგო (41, 69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ბელგია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| შოტლანდია | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:1 | 4 |
| ბოსნია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

**ეგვიპტე 1:1 ნორვეგია**

1:0 ჰოსამი (39), 1:1 ტორე ანდრე ფლო (64)

ნორვეგია: გროდასი (მირე 46), ჰაალანდი (ჰეგემი 46), ბერგი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი (რისეტი 88), სოლბაკენი (ლარსენი 84), კ. რეკდალი, ჰესტადი (კარეუ 46), ტორე ანდრე ფლო (რუდი 90), ივერსენი

**ინგლისი 2:0 ჩეხეთი**

1:0 ანდერტონი (22), 2:0 მერსონი (40)

**გერმანია 1:1 ჰოლანდია**

0:1 რაიციგერი (22), 1:1 მარშალი (52)

**ლუქსემბურგი 0:0 ბელგია**

**პორტუგალია 2:0 ისრაელი**

1:0 კოუტუ (5), 2:0 საბროზა (90)

**იტალია 2:2 ესპანეთი**

1:0 ინძაგი (14), 1:1 დე პედრო (33), 2:1 ინძაგი (74), 2:2 რაული (82პ)

**უნგრეთი 2:0 შვეიცარია**

1:0 კორსოში (1), 2:0 შობოკი (7)


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს



მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ილია ბაბუნაშვილი

ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვახტანგ ბზიკაძე

ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი

კალათბურთის განყოფილების გამგე: მერაბ რატიშვილი

ინფორმაციის განყოფილების გამგე: სოსო კოტორაშვილი

ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება: კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

უცხოური ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

კალათბურთის განყოფილება: გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე

ინფორმაციის განყოფილება: ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29